სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი

# ხუთი წლის ასაკის მოსწავლეების სწავლების პრობლემების კვლევა

სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების

ეროვნული ცენტრი

თბილისი

2012

# სარჩევი


კვლევის მეთოდოლოგიის დახასიათება: 2

ექსპერტთა სია: 3

შემაჯამებელი დასკვნა: 4

5 წლის ბავშვების სკოლაში შეყვანასთან დაკავშირებით მშობლების მოტივაცია 6

მშობლების ცოდნა და ინფორმირებულობის დონე 5 წლის ბავშვების სკოლაში შეყვანასთან დაკავშირებით; 9

ბავშვის სკოლისათვის მზაობა: 12

ბავშვის სკოლისათვის მზაობის შემოწმება; 14

5 წლის ბავშვების თავისებურებები და პრობლემები; 15

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების პრობლემები 20

5 წლის ბავშვების ხშირად გამოვლენილი პრობლემები სკოლაში; 22

5 წლის ბავშვებთან მიმართებაში სისტემური პრობლემები: 27

მომავალი განვითარების პერსპექტივა. 31

## კვლევის მეთოდოლოგიის დახასიათება

2012 წლის დეკემბერში კავშირმა „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი“ სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დაკვეთით განახორციელა ხუთი წლის ასაკის მოსწავლეების სწავლების პრობლემების კვლევა.

**კვლევის მიზანი:** 5 წლის ასაკიდან სკოლაში მიღებისას წამოჭრილი სირთულეების გამოკვლევა და მათი დასაძლევი რეკომენდაციების შემუშავება.

**სამიზნე ჯგუფი:** 1-ლი და მე-2 კლასის პედაგოგები, რომლებსაც აქვთ 5 წლის მოსწავლეებთან მუშაობის გამოცდილება; დაწყებითი კლასების მოსწავლეთა მშობლები, რომლებმაც 5 წლის ასაკში შეიყვანეს სკოლაში შვილები; ფსიქოლოგები, პედიატრები, განათლების ექსპერტები.

**კვლევის მეთოდი:** ფოკუს-ჯგუფი (ჯგუფური დისკუსია)

**ინსტრუმენტი:** ფოკუს ჯგუფის გზამკვლევი (გაიდლაინი)

კვლევის პროცესში ჩატარდა ფოკუს ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით

- მშობლები, რომლებმაც 5 წლის ბავშვი შეიყვანეს სკოლაში: 3 ჯგუფი (თბილისი, გორი, ბათუმი)
- მასწავლებლები, რომლებიც 5 წლის მოსწავლეებს ასწავლიან/ასწავლიდნენ: 3 ჯგუფი (თბილისი, გორი, ბათუმი)
- 2 ექსპერტების ფოკუს ჯგუფი: ფსიქოლოგები, პედიატრები, განათლების რეფორმაში ჩართული პერსონალი.

კვლევის პირველ ეტაპზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებთან ერთად შემუშავდა ფოკუს ჯგუფების გზამკვლევები (სულ სამი გზამკვლევი), მშობლებისათვის, მასწავლებლებისათვის და ექსპერტებისათვის. შემდგომ ეტაპზე განისაზღვრა მშობლებისა და მასწავლებლების რეკრუტირების კრიტერიუმები. წინასწარ მომზადებულმა სუპერვაიზორებმა, უზრუნველყვეს ფოკუს ჯგუფების დაგეგმვა. ფოკუს ჯგუფებს უძღვებოდა მოდერატორი. ფოკუს ჯგუფების ფიქსაცია მოხდა აუდიო და ვიდეო საშუალებების გამოყენებით.

კვლევის ანალიტიკურ ეტაპზე განხორციელდა ფოკუს ჯგუფების შინაარსობრივი და სტრუქტურული დამუშავება. წარმოგიდგენთ კვლევის შედეგების ამსახველ ანალიტიკურ ანგარიშს.

## ექსპერტთა სია

**თამარ გაგოშიძე** – ნეიროფსიქოლოგი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

**დიმიტრი ნადირაშვილი** – ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი

**თამარ ჯაყელი** – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტი, ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა მიმართულების ხელმძღვანელო

**ეკა სლოვინსკი** – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტი, მათემატიკის მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების მიმართულების ხელმძღვანელო

**ნინო ალალიშვილი** – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტი, სკოლამდელი განათლების პროექტების საკონსულტაციო ჯგუფის უფროსი

**ლალი ყავლაშვილი** – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის დეპარტამენტი, იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო

**მაია ხერხეულიძე** – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის დეპარტამენტი, იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს ბავშვთა განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი

## შემაჯამებელი დასკვნა

მშობლების მოტივაცია 5 წლის ბავშვის სკოლაში მიყვანასთან დაკავშირებით სხვადასხვაა. გამოხატული ნორმატიული აზრია, რომ ბავშვი ინტელექტუალურად მზადაა სკოლისათვის, თუმცა, ამის გარდა ფიქსირდება არაერთი სოციალური ფაქტორების გავლენაც: საბავშვო ბაღის მოუწესრიგებელი სისტემა, მასწავლებლების დაყოფა „კარგ“ და „ცუდ მასწავლებლებად“, მშობლების მოუცლელობა, სხვის ქცევაზე მიბაძვა, კანონის არსებობის გავლენა, ბავშვების სექსუალური მომწიფების შესახებ საზოგადოების წარმოდგენები.

მშობლების ინფორმირებულობის დონე ბავშვების აღზრდის საკითხებთან მიმართებაში დაბალია და მხოლოდ 5 წლის ბავშვების თავისებურებების ცოდნას არ გულისხმობს. თუკი 5 წლის ბავშვების სკოლაში მიღება არასავალდებულო ფორმით დარჩება, მშობლების უმრავლესობა ვერ მიიღებს სწორ გადაწყვეტილებას სკოლაში შეყვანასთან დაკავშირებით, ისევე როგორც ვერ გაუმკლავდება სწავლების პროცესში წარმოშობილ პრობლემებს. ამიტომ, კანონის ამ ფორმით დარჩენის შემთხვევაში ძალიან დიდი მუშაობაა გასაწევი მშობლების ინფორმირებულობის დონის გასაზრდელად.

ბავშვების სკოლისათვის მზაობას ფსიქოლოგები, პედიატრები და სხვა ექსპერტები მშობლებისაგან განსხვავებულად განსაზღვრავენ. ფსიქოლოგები ბავშვის სკოლისათვის მზაობაში აქცენტს აკეთებენ სოციალურ, ფსიქო–ემოციურ მზაობაზე, ინტელექტუალურ მზაობაზე. ასევე ითვალისწინებენ ბავშვის აკადემიურ უნარ–ჩვევების, ფსიქიკურ უნარ–ჩვევების, მოტორიკის განვითარების დონეს. აღნიშნული მაჩვენებლებით ძირითადად 5 წლის ბავშვები ჩამორჩებიან 6 წლის ბავშვებს. ექსპერტების ნაწილი მხარს უჭერს ბავშვების სკოლისათვის მზაობის ინდივიდუალურ შეფასებას. ნაწილი კი მიიჩნევს, რომ შესაძლებელია, რომ 4–5 წლის ბავშვს ვასწავლოთ შესაბამისი მეთოდების გამოყენებით.

ბავშვის სკოლისათვის მზაობა მნიშვნელოვანი მექანიზმია სკოლაში სასწავლო პროცესის სწორად წარმართვისათვის. მართალია დღესდღეობით არც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს და არც სკოლამდელ დაწესებულებებს არ აქვთ სკოლისათვის მზაობის შემოწმების რესურსი, თუმცა ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი სამუშაოებია ჩასატარებელი, იმის მიუხედავად იქნება თუ არა 5 წლის ბავშვის სკოლაში შეყვანა შესაძლებელი. ბავშვის სკოლისათვის მზაობის შემოწმების შედეგად ბავშვის შესახებ შექმნილი ისტორია, დაწყებითი სკოლის მასწავლებლებს საშუალებას მისცემს საჭირო მიმართულებით იმუშაოს ბავშვთან.

ფსიქო–ფიზიოლოგიური განვითარების თვალსაზრისით და კულტურული სისტემის გავლენით, 5 წლის მოსწავლეებს აქვთ ბევრი თავისებურება, რომელიც აუცილებლად უნდა იცოდეს მასწავლებლებმა და მშობლებმა. ამ ფაქტორების გათვალისწინებით უნდა მოხდეს ბავშვების სასწავლო პროცესში ჩართვა. თუმცა, მოცემულ მომენტში ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი წინსვლა არ არსებობს და სასწავლო პროცესიც 5 წლიანებისათვის შეუფერებელ გარემოში მიმდინარეობს.

5 წლის ბავშვების სწავლებასთან მიმართებაში აუცილებელია რეფორმების გატარება სკოლამდელ დაწესებულებაში. ერთ–ერთი ექსპერტის აზრით, ამას სჭირდება დიდი რესურსი,

მაგრამ ამ რესურსს ეხლა თუ არ გაიღებს სახელმწიფო, შემდგომ ორმაგად მოუწევს ხარჯების გაწევა, უკვე ბავშვების დამახინჯებულ ფსიქიკის გამოსასწორებლად. გარდა ამისა, ყველა რგოლი მიუთითებს იმაზე, რომ მნიშვნელოვანი განსხვავებაა იმ ბავშვებს შორის, რომლებმაც იარეს საბავშვო ბაღში და რომლებმაც არ იარეს. საბავშვო ბაღში ბავშვის ჩაურთველობით კი, ჩვენ არათანაბარ მდგომარეობაში ვაყენებთ მას. კარგი მონაცემების ბავშვიც კი იჩაგრება, რადგან მას არ აქვს მომზადება, ვერ დაძლევს პროგრამას და ამით უმცირდება მოტივაცია. ექსპერტების აზრით, საბავშვო ბაღში ბავშვის ჩართულობა მისი უფლებაა, რადგან ეს მისი ჰარმონიული და თანამიმდევრული განვითარების საწინდარია და თუ სკოლამდელი აღზრდა არასავალდებულო იქნება, ამით ბავშვების განათლების უფლების შელახვა მოხდება.

5 წლის ბავშვების სწავლების პროცესში არაერთი პრობლემა გამოვლინდა. პრობლემებია უშუალოდ აკადემიურ უნარ–ჩვევების ათვისებაში, თუმცა უფრო საგულისხმოა ამ ბავშვების ფსიქიკური მდგომარეობა, ფიზიკური და ემოციური სტრესი.

5 წლის ბავშვების სწავლებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი სისტემური ბარიერები არსებობს. დაწყებითი კლასების მასწავლებლების უმრავლესობას არ აქვს გავლილი 5 წლიანი ბავშვების თავისებურებების შესახებ ტრენინგი. თუმცა ის მასწავლებლებიც კი, რომლებსაც ამგვარი მომზადება გაუვლია, ნაკლებ ნებას გამოხატავს 5 წლის ბავშვებთან თავისებური მიდგომის გამოყენებასთან დაკავშირებით. ეს გამოწვეულია არა მხოლოდ მასწავლებლების დაბალი მოტივაციით, არამედ კლასების ზომებით, შერეული კლასებით და ინფრასტრუქტურული შეზღუდვებით. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემა არ შეხვდა 5 წლიანების სკოლაში მიღებას მზად, რაც უთუოდ თავს იჩენს შემდგომ ეტაპებზე ამ ბავშვების განვითარებაში.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ 5 წლის ბავშვების სასწავლო პროცესში ჩართვას მოჰყვა ბევრი პრობლემა, რომელთაგან ნაწილმა უკვე იჩინა თავი და ნაწილი დროთა განმავლობაში გამოვლინდება. 5 წლის ბავშვის სწავლების პრობლემა უკავშირდება არა იმას, რომ ამ ასაკის ბავშვს არ შეიძლება ვასწავლოთ, არამედ მათ უნდა ვასწავლოთ განსხვავებული მიდგომებით, რომელიც არაერთ დასავლურ ქვეყანაშია დანერგილი, თუმცა ამ ეტაპზე უცხოა ქართული საგანმანათლებლო სივრცისათვის და საჭიროებს ძალიან დიდი ფინანსური და ადამიანური რესურსის მობილიზებას. ამიტომ, ამ ეტაპზე არარეკომენდირებულია 5 წლის ბავშვების სასწავლო პროცესში ჩართვა, იქამდე სანამ არ ჩატარდება მნიშვნელოვანი მოსამზადებელი სამუშაოები.

## 5 წლის ბავშვების სკოლაში შეყვანასთან დაკავშირებით მშობლების მოტივაცია

სკოლაში ბავშვების შეყვანის ასაკი მერყეობს 4 წლისა და 11 თვიდან, 5 წელსა და 10 თვემდე. აღსანიშნავია, რომ მშობლები უფრო იოლად იღებენ გადაწყვეტილებას იმ ბავშვების სკოლაში მიყვანაზე, რომლებიც იანვრამდე ხდება 6 წლის, თუმცა ასევე არის შემთხვევები, როდესაც სკოლაში მიყავთ ბავშვები, რომლებსაც ჯერაც არ შესრულებიათ 5 წელი.

5 წლის ბავშვის სკოლაში მიყვანასთან მიმართებაში მშობლების მოტივაცია შეიძლება დავყოთ: გაჟღერებულ და ფარულ მოტივაციად. გაჟღერებული მოტივაცია არის ნორმატიული მსჯელობა, რომელზეც ხშირად აპელირებენ მშობლები. ფარული მოტივაცია გამოიხატება წამონაცდენებში და ასევე სახელდება მასწავლებლებისა და ექსპერტების მიერ.

გაჟღერებული მოტივაციაა: ბავშვის სკოლისათვის მზაობა, ბავშვის ფიზიკური მდგომარეობა, 12 წლიანი განათლება, ბავშვის ინტერესი სწავლისადმი, სოციალური გავლენა, კანონის გავლენა, ოჯახის წევრების გადაწყვეტილება, ვაჟებისათვის სავალდებულო სამსახური და „სასურველ“ პედაგოგთან მოხვედრის სურვილი.

ყველაზე ხშირად, მშობლები 5 წლის ბავშვის სკოლაში მიყვანის მოტივაციად ასახელებენ მის მზაობას სკოლისათვის. სკოლისათვის მზაობას მშობლები შემდეგი ფაქტორებით გამოხატავენ: ლექსების ცოდნა, ასოებისა და ციფრების ცოდნა, კითხვა და იშვიათად წერის უნარ ჩვევა: *„ვხედავდი, რომ ბავშვი მომზადებული იყო და ძლევდა პროგრამას, გადავწყვიტე სკოლაში შეყვანა. ჩემს შვილს რომ მონაცემები არ ჰქონოდა ნამდვილად ვერ გავრისკავდი და არ დავთრგუნავდი. ვატყობდი, რომ შეძლებდა, როგორც ფიზიკურად ასევე, გონებრივადაც. იცოდა წერა-კითხვა. მე არ ვცდილობდი, რომ სკოლისთვის მომეზადებინა, თავისით იჩენდა ინიციატივას“ (ბათუმი).* ზოგჯერ მშობლები აკადემიური უნარ–ჩვევების ქონას უმატებენ იმასაც, რომ ბავშვის გონება გახსნილია. მშობლები ხშირად მიუთითებენ ასევე ბავშვის სურვილზე წასულიყო სკოლაში, თუმცა ამ შემთხვევაში გაურკვეველია ის საკითხი, რამდენად კარგად იციან ბავშვებმა სკოლა და აქვთ იმის წინასწარგანსაზღვრის უნარი მოეწონებათ თუ არა სკოლის რეჟიმი.

მშობლები ასევე მიუთითებენ ბავშვების ფიზიკურ სიდიდეზე. მათი აზრით, ფიზიკურად დიდი ბავშვი დაიჩაგრება, თუკი 6 წლის შევა სკოლაში: *„ჩემი მოტივაციაც მსგავსი იყო, შევხედე, რომ ტანით პატარა არ იყო და აითვისებდა. რომ დამეგვიანებინა უკვე დიდი იქნებოდა ექვსი წლის და ექვსი თვის, ამიტომ გადავწყვიტე შეყვანა.” (ბათუმი)*

6 წლამდე ბავშვის სკოლაში მიყვანის ინტერესი მშობლებს უფრო გაუმძაფრდათ მას შემდეგ, რაც ზოგადი განათლება 12 წლიანი გახდა. იგივე მოტივაციაზე მასწავლებლებიც მიუთითებენ. განსხვავებით ექსპერტებისაგან, რომლებიც 12 წლიან ზოგად განათლებას წინ გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევენ, მასწავლებლები ამ რეფორმის დადებით მხარეს ვერ ხედავენ. მათი აზრით მეთორმეტე კლასის პროგრამა კარგად არ არის ჩამოყალიბებული. გარდა ამისა, მეთორმეტე კლასელებში რთულია დისციპლინის დაცვა და მოსწავლეებისათვის, რომლებიც კერძო პრაქტიკაზე დადიან, სკოლაში სიარულის იძულება.

მშობლების მოტივაცია თავისთავად გაიზარდა კანონის არსებობის პირობებში: „იცით რა არის, როდესაც კანონი არის მიღებული ვერ ვხვდები რატომ არ უნდა წამეყვანა ბავშვი სკოლაში. კანონი, რომ შეუსაბამო იყოს, მას არ მიიღებდნენ“ (გორი). როგორც ჩანს სოციალური ეფექტის გავლენით 5 წლის ბავშვების სკოლაში მიყვანამ სტიქიური ხასიათი მიიღო. ამასთან დაკავშირებით ერთ–ერთი მშობელი აღნიშნავს: „ბაღში ვისთან ერთადაც დადიოდა ჩემი შვილი თითქმის ყველა მივიდა სკოლაში და მეც გადავწყვიტე მიმეყვანა. თანაც კანონიც არსებობდა და...“ (თბილისი)

5 წლის ბავშვების სკოლაში მიყვანასთან დაკავშირებით ასევე პრევალირებს საბავშვი ბაღის თემა. ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა რაიონებსა და სოფლებში, სადაც სკოლამდელი დაწესებულებების ქსელი სრულად არ არის განვითარებული ან არახარისხიან მომსახურებას აწვდის საზოგადოებას. ხშირად მშობლებს საბავშვი ბაღი სკოლის ალტერნატივად წარმოუდგენიათ და როდესაც ბავშვი სკოლამდელ დაწესებულებაში სიარულზე უარს აცხადებს, ისინი სკოლის ალტერნატივაზე გადადიან. „რადგან დედის ერთა იყო და თან ბაღშიც არ მოისურვა სიარული, ვიფიქრე, რომ ბავშვებთან ურთიერთობა ექნებოდა. სკოლად კარგად შეეგუა, დარჩენაზე არ უტირია“ (გორი); „ჩემ შვილს ორი წლის განმავლობაში ტირილით ვტოვებდი ბაღში. სკოლაში დარჩენაზე კი უარს არ აცხადებს“ (თბილისი). მშობლების მსგავსი არგუმენტაცია კიდევ უფრო მიუთითებს საბავშვო ბაღების სისტემის გაუმართაობაზე და სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვების მიმართ არასწორ მიდგომებზე.

აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ მშობელთა უმრავლესობა აუცილებლად თვლის 5 წლის ბავშვის სისტემურ სწავლებაში ჩართვას. მშობელთა ნაწილი ამბობს, რომ თუკი საბავშვო ბაღში მოხდებოდა პირველი კლასის პროგრამის გავლა (და არა პირველი კლასის პროგრამისათვის ბავშვის მომზადება), მაშინ ისინი 5 წლის ბავშვს სკოლაში აღარ წაიყვანდენ.

რაიონების სკოლებში ასევე პრევალირებს თემა ბავშვის „სასურველ“ დაწყებით მასწავლებელთან მოხვედრის თაობაზე: „მე რომ მინდოდა მასწავლებელი, ის წელს იყვანდა დაწყებით კლასს. ეს ერთ–ერთი ფაქტორი იყო. დაწყებითი მასწავლებელი ყველაფერია ბავშვისათვის. ამიტომ ჯობია ადრე მიიყვანო სკოლაში, ვიდრე „ცუდ“ მასწავლებელთან მოხვდეს.“ (გორი)

სკოლაში წასვლასთან დაკავშირებით ხშირად არის ოჯახებში აზრთა სხვადასხვაობა. როგორც წესი, უფროსი თაობა (ბებია–ბაბუები) წინააღმდეგები არიან ბავშვების 5 წლის ასაკში სკოლაში მიყვანის (მათთვის ბავშვობის წართმევის არგუმენტით), ხოლო მშობლები უფრო მოწადინებულები არიან ბავშვი სასწავლო პროცესში ადრეული ასაკიდან ჩართონ. სწორედ ეს არის ერთ–ერთ ფაქტორი, რის გამოც მშობლებს ბავშვის პრობლემების შემთხვევაში ბავშვის სკოლიდან გამოყვანა უჭირთ. მათ სურთ, რომ ბოლომდე გაამართლონ თავიანთი გადაწყვეტილება.

გარდა მშობლებს შორის ნორმატიული მსჯელობისა არის მოტივაცია, რომელიც ფარულია. ერთ–ერთი მსგავსი მოტივაციაა ბავშვის ქცევის მართვა. ერთ–ერთმა მშობელმა დისკუსიის პროცესში გააჟღერა ფრაზა: “ძალიან ცელქი იყო და ჩავთვალე, რომ სკოლაში დახარჯავდა ენერგიას”. მშობლების აზრით, სკოლა როგორც ინსტიტუტი ბავშვის რეგულირებას დაიწყებს

და მის სიცელქეს გამოასწორებს. გორის რაიონში ერთ–ერთი მშობელის თქმით, მის შვილს სხვების მიმართ დიდი პასუხისმგებლობა აქვს და სკოლაში რომ წავიდოდა მასწავლებელს „რეჟიმში“ ეყოლებოდა. გარდა ენერგიის დახარჯვისა, აქ დგება მშობლისათვის დროის გამოთავისუფლების ფაქტორი. კერძო სკოლების პედაგოგები ხშირად მიუთითებენ მშობლების მოუცლელობაზე, რის გამოც ბავშვი კერძო სკოლაში დილიდან 5 საათამდე ატარებს დროს.

5 წლის ბავშვის სკოლაში მიყვანის ფარული მოტივაცია ასევე უკავშირდება 12 წლიან ზოგად განათლებას, ოღონდ სექსუალური განვითარების რაკურსში. მშობლებს შორის ხშირად პრევალირებს ფრაზები: “19 წლის ხომ არ დაამთავრებს სკოლას?” “წვერ ულვაში ამოუვიდა”, “ლამისაა ცოლი მოიყვანოს“, „სკოლაში ხომ არ უნდა გათხოვდეს?!“. მეთორმეტე კლასებში ბავშვების სქესუალურ მომწიფებაზე მიუთითებენ ასევე რეგიონის პედაგოგებიც. მათი თქმით, მეთორმეტე კლასში გოგონები იწყებენ სამკაულებითა და მაკიაჟით სიარულს, ვაჟები ავლენენ სექსუალურ მისწრაფებების თანაკლასელებისა და მასწავლებლების მიმართაც. თუმცა ამ შემთხვევაში ღიად რჩება საკითხი იმის შესახებ, მსგავსი ტენდენციები შეინიშნება თუ არა მეთერთმეტე კლასში.

რეგიონის მასწავლებლები მშობლების მოტივაციებს შორის მიუთითებენ ბუკის თემაზე. მათი თქმით, ხშირად მშობლის მოტივაცია ადრე გაეშვა ბავშვი სკოლაში იყო ის, რომ ბავშვს ექნებოდა ბუკი. როდესაც ოჯახს უჭირს და არ აქვს კომპიუტერი, მშობლები ბუკებს პირადი მოხმარებისათვის გამოიყენებდნენ. ამის დამადასტურებლად მასწავლებლებს მიაჩნიათ ის, რომ სკოლებში გაუთავებლად არის პრობლემები ბუკებიდან მშობლების მიერ გადმოწერილი ფილმებისა და  მუსიკის ამოშლის გამო.

**მოკლედ რომ შევაჯამოთ, მშობლების მოტივაცია 5 წლის ბავშვის სკოლაში მიყვანასთან დაკავშირებით სხვადასხვაა. გამოხატული ნორმატიული აზრია, რომ ბავშვი ინტელექტუალურად მზადაა სკოლისათვის, თუმცა, ამის გარდა ფიქსირდება არაერთი სოციალური ფაქტორების გავლენაც: საბავშვო ბაღის მოუწესრიგებელი სისტემა, მასწავლებლების დაყოფა „კარგ“ და „ცუდ მასწავლებლებად“, მშობლების მოუცლელობა, სხვის ქცევაზე მიბაძვა, კანონის არსებობის გავლენა, ბავშვების სექსუალურ მომწიფების შესახებ საზოგადოების წარმოდგენები.**

## მშობლების ცოდნა და ინფორმირებულობის დონე 5 წლის ბავშვების სკოლაში შეყვანასთან დაკავშირებით

მშობლების ინფორმირებულობის დონე კავშირშია მათ მიერ გადაწყვეტილების მიღებასთან. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მშობლების ინფორმირებულობის დონე 5 წლის ბავშვების თავისებურებებთან დაკავშირებით დაბალია, ისევე როგორც მათ არ აქვთ ნათელი წარმოდგენა რა კრიტერიუმით შეიძლება შეფასდეს ბავშვის სკოლისათვის მზაობა და სწავლის პროცესში გამოვლენილ თავისებურებებსაც თავისებურად ხსნიან.

მშობლების უმრავლესობა ბავშვის სკოლისათვის მზაობას, ინტელექტუალური თვალსაზრისით აფასებენ. ფსიქოლოგები ბავშვის მზაობასთან დაკავშირებით მშობლების დამოკიდებულებას შემდეგნაირად აფასებენ: *"თუ ბავშვმა 5 ლექსი იცის ორ ენაზე, მშობელს ის მზად ჰგონია სკოლისათვის, არადა ამ ბავშვმა შეიძლება წრე ვერ შემოხაზოს.ლექსები მექანიკური მეხსიერებაა, ამას გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე ბავშვებიც მშვენივრად ართმევენ თავს."* აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მშობლები ხშირად ბავშვის მზაობას და მიღწევებს თავის დედ–მამიშვილებთან მიმართებაში განიხილავენ. მშობლები ხშირად უსვამენ ხაზს იმ ფაქტორს, რომ 5 წლის ბავშვები ხშირად სწავლობენ თავის და–ძმებთან ერთად. თუმცა ეს სწავლა მაინც ზეპირობის კომპონენტს შეიცავს და დასწავლილი ტექსტის გააზრებისა და გაცნობიერებას არ გულისხმობს. იშვიათად, მაგრამ ზოგიერთი მშობელი ყურადღებას აქცევს ბავშვის კომუნიკაბელურობას: „უყვარს ადამიანებთან ურთიერთობა. უცხოსაც გამოელაპარაკება."

ექსპერტები მშობლების ინფორმირებულობასთან დაკავშირებით რამოდენიმე ასპექტს უსვამენ ხაზს.

ა) მშობლებისათვის ის ფაქტორი, რომ ბავშვს ამ ასაკში თამაში უნდა, დასაძლევ პრობლემად მიაჩნიათ და პირიქით თუ მთელი დღე ბავშვი მეცადინეობაში ატარებს, ნორმალურად თვლიან. „ჩემს შვილს ისე უყვარს წიგნი, რომ მთელი დღე ზის. გარეთ ბავშვები, რომ თამაშობენ მას გარეთ გასვლა არ უნდება. უნდა ჩქარა ისწავლოს ასოები, რომ თავისით წაიკითხოს წიგნები".

ბ) მშობლებმა არ იციან როგორ უნდა იზრუნონ ბავშვების განვითარებაზე და თუნდაც სკოლისათვის მომზადებაზე. ექსპერტები მიუთითებენ შემთხვევებზე, როდესაც მშობლებმა არ იციან რა ნივთები სჭირდება ბავშვს, როგორი სათამაშოები უნდა უყიდონ მათ. ყველაზე ხშირად მშობელი შვილს იმას აწვდის, რაც პირიქით ყველაზე მავნეა ბავშვისათვის და ძირითადად ეს ტკბილეულის ყიდვით გამოიხატება, მაშინ როდესაც მათ არ აქვთ სახატავი რვეულები, ფანქრები და წიგნები.

გარდა ამისა ქართველი მშობლები ბავშვებს არ აძლევენ დამოუკიდებლობას და თავის თავზე ზრუნვის უფლებას. ხშირია შემთხვევები, როდესაც სკოლაში მიყვანილ მოსწავლეებს არ შეუძლიათ თავის მოვლა, ნივთების ჩალაგება, ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის შეკვრა და ჭამაც კი. ეს არ არის ასაკობრივი თავისებურება, ეს იმის მაჩვენებელია, რომ როდესაც ბავშვი ინტერესს იჩენდა და ცდილობდა თავის თავზე ეზრუნა, მშობელი მას ამ უნარს უხშობდა და ცდილობდა თავის თავზე აეღო ყველაფერი.

გ) მშობლებმა არ იციან 5 წლის ბავშვების სწავლების სპეციფიკა და მათთან მიმართებაში იგივე მოთხოვნებს აყენებენ, როგორც მოზრდილ მოსწავლეებთან მიმართებაში. მაგალითად ერთი მშობელი აღნიშნავს: *"მე მას (ბავშვს) ვკითხე უნდოდა თუ არა სკოლაში სიარული. ავუხსენი, რომ სკოლაში უნდა იჯდეს მერხზე გაუნძრევლად, უნდა უსმინოს მასწავლებლებს, უნდა ისწავლოს, რომ იქ ვერ ითამაშებს, ვერ შეჭამს და ვერ ირბენს".* სკოლის, როგორც ფორმალიზებული სწავლების პროცესის სოციალური მოთხოვნა გავრცელებულია ქართულ სკოლებში, ეს შესაბამისობაში მოდის პედაგოგების წარმოდგენებთან და 5 წლის ბავშვების თავისებურებების გათვალისიწნებას სწავლების პროცესში ხელს უშლის. მშობლების დაკვეთაა ის, რომ ბავშვი მაქსიმალურად იყოს დატვირთული, სკოლის შემდგომ ჰქონდეს დავალებები, რომელთა შესრულება საათობით ჯდომას და მეცადინეობას მოითხოვს. მშობლები მასწავლებლებისაგან მოითხოვენ ბავშვების ყოველდღიური ნიშნებით შეფასებას.

სწორედ ამგვარი წარმოდგენის შედეგია, ის რომ ბავშვის მისწრაფებებს და ფიზიოლოგიური განვითარებიდან გამოწვეულ მოთხოვნილებებს მშობლები ადექვატურად ვერ აღიქვამენ და ცდილობენ თავისებური ახსნა მოუძებნონ. მაგალითად ერთი მშობელი ამბობს, რომ მის შვილს თავიდან გაუჭირდა სკოლაში ყოფნა, გაკვეთილზე ჯდომა. თუმცა მისი ახსნით, ეს იმის ბრალია, რომ კარგი ამინდები როცაა ბავშვებს გარეთ ყოფნა და თამაში უნდათ, რასაც საკლასო ოთახში ვერ აკეთებენ. ზამთრის დადგომის შემდეგ კი მისი შვილი სკოლის „რეჟიმს" შეეჩვია.

დ) მშობლების ინფორმირებულობის დაბალ დონეზე მიუთითებს მათი რეაგირება ბავშვის მიერ სასწავლო პროცესში გამოვლენილ პრობლემებზე. პირველი საკითხი არის, მშობლის მიერ შვილის შეფასების აღქმა. ერთ–ერთი პედაგოგი ამბობს: „როდესაც 5 წლის ბავშვის მშობელს ვუთხარი, რომ ბავშვს უჭირდა სკოლაში ყოფნა და ვურჩიე სწავლის დასაწყისში სკოლიდან გაეყვანა, მას საშინელი რეაქცია ჰქონდა. რა გინდათ თქვათ, რომ ჩემი შვილი ყველაზე სუსტიაო, მომაძახა და გაბრაზებული წავიდა" (გორი). აღსანიშნავია, რომ მშობლებს ბავშვის მიერ სკოლის მიმღებლობა ძირითადად პროგრამის დაძლევაში ვლინდება. მათ არ იციან, რომ ბავშვის პრობლემები სწავლაში შეიძლება გამოვლინდეს სომატურად, ემოციურად და სოციალურად. ამგვარი ცოდნის არ არსებობის პირობებში, მშობლები ვერც ამ პრობლემებს ამჩნევენ და არ მიმართავენ საჭირო ღონისძიებებს.

სწორედ ამიტომ, ექსპერტების აზრით 5 წლის ბავშვის სკოლისათვის მზაობის შემოწმების მხოლოდ მშობელზე მინდობა არასწორია. „მშობელი მიიღებს გადაწყვეტილებას როგორც მისთვის არის სასარგებლო. მისთვის არის სასარგებლო, რომ ბავშვი დროზე შევიდეს სკოლაში, დროზე დაამთავროს სკოლა. ამიტომ სამინისტრომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება და ეს მნიშვნელოვანი საკითხი მხოლოდ მშობლებს არ უნდა მიანდოს."

**მშობლების ინფორმირებულობის დონე ბავშვების აღზრდის საკითხებთან მიმართებაში დაბალია და მხოლოდ 5 წლის ბავშვების თავისებურებების ცოდნას არ გულისხმობს. თუკი 5 წლის ბავშვების სკოლაში მიღება არასავალდებულო ფორმით დარჩება, მშობლების უმრავლესობა ვერ მიიღებს სწორ გადაწყვეტილებას სკოლაში შეყვანასთან დაკავშირებით, ისევე როგორც ვერ გაუმკლავდება სწავლების პროცესში წარმოშობილ პრობლემებს. ამიტომ კანონის ამ ფორმით დარჩენის შემთხვევაში ძალიან დიდი მუშაობაა გასაწევი მშობლების ინფორმირებულობის დონის გასაზრდელად.**

## ბავშვის სკოლისათვის მზაობა

განსხვავებით მშობლებისაგან ექსპერტები ბავშვს სკოლისათვის მზაობას მრავალი კომპონენტით ახასიათებენ:

- **სოციალური მზაობა:** ფსიქოლოგების შეფასებით მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომლის გათვალისწინება აუცილებელია ბავშვის სკოლაში მიღებისას. სოციალური მზაობა გულისხმობს ბავშვის უცხო გარემოში ადაპტაციის უნარს. ბავშვის ინტერაქცია უცხო ადამიანთან უნდა იყოს ისეთივე, როგორც ოჯახის წევრთან. ეს მაჩვენებელი განსაკუთრებით დაბალია ბავშვებში, რომლებსაც არ უვლიათ სკოლამდელ დაწესებულებაში;

- **ფსიქო–ემოციური მზაობა** ყველა ექსპერტის მიერ დასახელდა მნიშვნელოვან კომპონენტად. ფსიქო–ემოციური მზაობა რამოდენიმე კომპონენტისაგან შედგება. ესენია:

  - **განსხვავება "უნდასა" და "მინდას" შორის,** ანუ ვალდებულებისა და სურვილის განსხვავება და აღქმა: *"ეს უკავშირდება იმას ბავშვს აქვს თუ არა ნებისყოფა, რომ გაუძლოს სწავლის პროცესს. რას ჰქვია გაუძლოს? თუკი გაკვეთილი 35 წუთის განმავლობაში გრძელდება გაატაროს გარკვეულ რეჟიმში ეს დრო, არ იაროს, არ ირბინოს, არ გავიდეს გარეთ, არ ილაპარაკოს, ნებელობას დაუმორჩილოს თავისი ქცევა" (ფსიქოლოგი)*

  - **ინტერაქტიული თამაში:** ბავშვს უნდა შეეძლოს ჯგუფთან ურთიერთობა, სხვებთან ერთად თამაში, სათამაშოების და თავისი ნივთების გაზიარება.

  - **თავისი და სხვისი ემოციის გაგება:** ფსიქოლოგების აზრით ეს ვითომდა მარტივი უნარ–ჩვევა საკმაოდ მნიშვნელოვანია. კლასში ბავშვი ჯგუფის წევრია, იქ არიან მასწავლებლები, და ამდენი ადამიანის განწყობები არა მხოლოდ ვერბალურად უნდა გაიგოს, არამედ ემოციურადაც.

  - **სიტუაციის აღქმა:** ეს კომპონენტი როგორც ჩანს ხშირად არ არის გაკვითარებული 5 წლის ბავშვებში. მასწავლებლები მიუთითებენ, რომ 5 წლის ბავშვებს ხშირად უჭირთ საგაკვეთილო პროცესის და მათ ირგვლივ მიმდინარე ცვლილებების აღქმა და მათზე რეაგირება.

- **ნატიფი მოტორიკა:** თითების სწრაფი და მოქნილი მოძრაობა , თვალისა და ხელის კოორდინაცია. მოცემული ასპექტები ხშირად არ აქვთ კარგად განვითარებული 5 წლის მოსწავლეებს. როგორ მასწავლებლები მიუთითებენ, ეს ყველაზე ხშირად წერის პრობლემებში ვლინდება.

- **ინტელექტუალური მზაობა:** აზროვნება, მეხსიერება, მიმართების დამყარება, ახალ სიტუაციაში პრობლემების გადაწყვეტის უნარი. აღსანიშნავია, რომ მშობლები ძირითადად ბავშვის ინტელექტუალურ მზაობაში აკადემიურ უნდარ ჩვევებს და კითხვას მოიაზრებენ. ისეთი კატეგორიების მზაობის განსაზღვრა, როგორიცაა მიმართებების

დამყარება და ახალ სიტუაციაში პრობლემების გადაწყვეტის უნარი იშვიათად განიხილება მშობლების მიერ.

- **აკადემიური ჩვევები:** ანგარიში და წერა–კითხვა. აკადემიურ უნარ–ჩვევებში მშობლები ძირითადად აქცენტს აკეთებენ ასოების ცნობასა და იშვიათად კითხვაზე.

- **ფსიქიკური უნარი : ფონოლოგიური ანალიზის უნარი და ვიზუალურ სივრცითი გარჩევის უნარი.** ფსიქოლოგის აზრით, ბავშვებში ფსიქიკური უნარიც ნაკლებად არის განვითარებული. მისი თქმით, *"ბავშვი ვერ არჩევს რომელი დეტალი სად უნდა იყოს ნახატში, მაშინ რა წ და შ-ს გარჩევაზეა საუბარი ან მიმატება გამოკლებაზე. სრულიად უცნაურია იმის გაგება ადამიანებისთვის, რომ შეკრებისთვის აუცილებელია სივრცითი უნარი, ანუ გამოდის რომ ეს თუ არ არის განვითარებული, ანგარიშს ვერ ისწავლის ბავშვი"*

ფსიქოლოგების აზრით ზემოთ ჩამოთვლილი უნარები ზოგადად 6 წლის ასაკში ვითარდება, თუმცა ისინი არ გამორიცხავენ ცალკეულ შემთხვევებს, როდესაც 5 წლის ბავშვსაც ჰქონდეს ეს უნარები განვითარებული. ამიტომ პედიატრი მხარს უჭირს ბავშვების სკოლისათვის მზაობის ინდივიდუალურ შემოწმებას. თუმცა გამორჩეული შემთხვევების გარდა, ფსიქოლოგებისა და პედიატრების აზრით შესაძლებელია ბავშვს ვასწავლოთ 4–5 წლის ასაკში, მაგრამ არა იმ მეთოდებით და იმ გარემოში, რასაც ქართული სკოლა გვთავაზობს. 4–5 წლის ბავშვს აკადემიური უნარ ჩვევა უნდა ვასწავლოთ თამაშით.

გარდა ამისა, ექსპერტები მიუთითებენ განვითარების შედეგ თავისებურებებზე:

- გარდამავალ ასაკამდე ბიჭებში ზემოთ ნახსენები უნარ–ჩვევები უფრო გვიან ვითარდებოდა. ამიტომ გოგოებში შეიძლება სოციალური მზაობა, ფსიქიკური უნარ–ჩვევები, მოტორიკა 6 წელზე ადრე იყოს განვითარებული. გარდამავალ ასაკამდე ვერბალური უნარები გოგონებში უფრო ადრე მწიფდება, ხოლო ბიჭებში უფრო გვიან, ხოლო ვიზუალურ სივრცითი უნარები ბიჭებს უფრო ადრე უვითარდებათ, ვიდრე გოგონებს. ამიტომ გოგონები უფრო უკეთ მეტყველებენ, ხოლო ბიჭები კონსტრუირებაში ჯობნიან გოგონებს.

- ზოგადი შეფასებით, ეროვნულ გეგმაზე მომუშავე ექსპერტები თვლიან, რომ საქართველოში ბავშვების განვითარების დონე ჩამოუვარდება მსოფლიო სტანდარტებს, რაც მშობლების მიერ ბავშვებისათვის დამოუკიდებლობის მიუცემლობის ბრალია. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს ბავშვის მიერ სკოლაში თავის თავზე ზრუნვის უნარში.
- გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით 5 წლის ბავშვები განვითარების დონით თითქმის ყველა ასპექტში ჩამორჩებიან 6 წლის ბავშვებს.

**დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ ბავშვების სკოლისათვის მზაობას ფსიქოლოგები, პედიატრები და სხვა ექსპერტები მშობლებისაგან განსხვავებულად განსაზღვრავენ. ფსიქოლოგები ბავშვის სკოლისათვის მზაობაში აქცენტს აკეთებენ სოციალურ, ფსიქო–ემოციურ მზაობაზე, ინტელექტუალურ მზაობაზე. ასევე ითვალისწინებენ აკადემიურ უნარ–ჩვევებს, ფსიქიკურ უნარ–ჩვევებს, მოტორიკის განვითარების დონეს. აღნიშნული მაჩვენებლებით ძირითადად 5 წლის ბავშვები ჩამორჩებიან 6 წლის ბავშვებს. ექსპერტების ნაწილი მხარს უჭერს**

**ბავშვების სკოლისათვის მზაობის ინდივიდუალურ შეფასებას. ნაწილი კი მიიჩნევს, რომ შესაძლებელია, რომ 4–5 წლის ბავშვს ვასწავლოთ შესაბამისი მეთოდების გამოყენებით.**

## ბავშვის სკოლისათვის მზაობის შემოწმება

ექსპერტთა უმრავლესობა თვლის, რომ თუკი ძალაში დარჩება 5 წლის ბავშვების სკოლაში მიღება, აუცილებელია მოხდეს ბავშვების სკოლისათვის მზაობის შემოწმება. აქ გამოიყო რამოდენიმე ასპექტი:

სხვა ქვეყნების გამოცდილებით სკოლისათვის მზაობა მოწმდება სკოლამდელ დაწესებულებებში, წლის განმავლობაში სამჯერ, აღმზრდელისა და ფსიქოლოგის მიერ ინტენსიური დაკვირვების ფონზე. საბავშვო ბაღში პედაგოგის მიერ გამოვლინდება ის სუსტი მხარეები, რომელიც ბავშვის განვითარებას აქვს, შემდეგი თვეების განმავლობაში ხდება ამ სისუსტეების დაძლევაზე მუშაობა და წლის ბოლოს წყდება არის თუ არა ბავშვი მზად სკოლისათვის. იქმნება ბავშვის ისტორია, რომელიც წინასწარ გადაეცემა სკოლის მასწავლებელს; ამგვარად ბავშვის შესახებ ინფორმაცია სრულად აქვს დაწყებითი კლასების მასწავლებლებს და მისი მოსწავლეებთან ურთიერთობა მათ თავისებურებების გათვალისწინებაზეა დამყარებული.

საქართველოში უმრავლეს შემთხვევაში სკოლამდელ დაწესებულებებში არ ხდება ბავშვის სკოლისათვის მზაობა. ბავშვის მზაობის შეფასება ხდება მხოლოდ იაშვილის სახელობის ცენტრალურ საავადმყოფოში, თუმცა ამ მომსახურების შესახებ მშობლებს არ აქვთ ინფორმაცია და მხოლოდ ერთეული ბავშვები იღებს ამ მომსახურებას. იშვიათ შემთხვევებში, საბავშვო ბაღის მასწავლებლები მშობლებს ეუბნებიან მათი შვილის მზაობის შესახებ. თუმცა მათი დასკვები არ არის კვალიფიციური და არ ითვალისწინებს იმ კრიტერიუმებით ბავშვის მზაობის შესწავლას, რომელიც ფსიქოლოგებისა და პედიატრების მიერ იქნა დასახელებული.

ექსპერტების აზრით, ამ ეტაპზე შეუძლებელია სკოლისათვის მზაობის შემოწმება სკოლამდელ დაწესებულებებში. ამის მიზეზი არის ის, რომ არ არის მომზადებული პედაგოგი და საბავშვო ბაღებს ძირითადად არ ყავთ ფსიქოლოგები, რომლებსაც შეუძლიათ შესაბამისი დასკვნა გამოიტანონ ბავშვის მზაობასთან დაკავშირებით.

ბავშვის სკოლისათვის მზაობის თავად სკოლაში შემოწმებაც რთულია. პირველ რიგში მსგავსად საბავშვო ბაღისა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს არ აქვს შესაბამისი ადამიანური რესურსები, რომლებიც ბავშვის მზაობის შემოწმებას შეძლებენ. ასევე პრობლემატურია ბავშვის მზაობის შემოწმება მცირე ზომის თემებში. მშობლები ბავშვის სკოლებისათვის მზაობის საკითხს ღირსების საკითხად აღიქვამენ და მასწავლებლის მიერ გამოტანილი დასკვნა, ბავშვის მოუმზადებლობასთან დაკავშირებით, მათთვის ძალიან შეურაცხმყოფელია.

რეგიონის მასწავლებლები წინააღმდეგები არიან სკოლაში 5 წლის ბავშვების სკოლისათის მზაობის შემოწმების პროცედურის დანერგვისა. მათი თქმით, როდესაც ინდივიდუალურ შემოწმებაზე მივა საქმე, მშობლებს უფრო გაეზრდებათ ამბიცია, რომ მათი შვილი

მომზადებული იყოს სკოლისათვის და მათმა შვილმა სხვებს აჯობოს. ამიტომ რეგიონის მასწავლებლები მიიჩნევენ, რომ უპრიანი იქნება 5 წლის ბავშვების მიღება საერთოდ შეწყდეს.

მასწავლებლების ნაწილი ძირითადად თბილისში თვლის, რომ 5 წლის ბავშვების მიღება არ უნდა აიკრძალოს, უბრალოდ სკოლამდელი დაწესებულების გავლა უნდა გახდეს სავალდებულო და სკოლაში მიღებამდე თავად სკოლამდელმა მასწავლებელმა გასცეს რეკომენდაცია არის თუ არა ბავშვი მზად სასკოლოდ.

**დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბავშვის სკოლისათვის მზაობა მნიშვნელოვანი მექანიზმია სკოლაში სასწავლო პროცესის სწორად წარმართვისათვის. მართალია დღესდღეობით არც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს და არც სკოლამდელ დაწესებულებებს არ აქვთ სკოლისათვის მზაობის შემოწმების რესურსი, თუმცა ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი სამუშაოებია ჩასატარებელი, იმის მიუხედავად იქნება თუ არა 5 წლის ბავშვის სკოლაში შეყვანა შესაძლებელი. ბავშვის სკოლისათვის მზაობის შემოწმების შედეგად, ბავშვის შესახებ შექმნილი ისტორია დაწყებითი სკოლის მასწავლებლებს საშუალებას მისცემს საჭირო მიმართულებით იმუშაოს ბავშვთან.**

## 5 წლის ბავშვების თავისებურებები და პრობლემები

ბავშვის სკოლისათვის მზაობა ინდივიდუალურია და უშუალოდ არ უკავშირდება 5 წლის ბავშვების სწავლების საკითხს. ექსპერტების აზრით, შესაძლებელია 6 წლის ბავშვიც არ იყოს მზად სკოლისათვის, ისევე როგორც შესაძლებლად მიაჩნიათ 5 წლის ბავშვის მზაობა. გარდა ამისა, ყურადსაღებია 5 წლის ბავშვების თავისებურებები, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნას გათვალისიწნებული მათთვის სწავლების პროცესში. 5 წლის ბავშვების თავისებურებებზე საუბრისას შეიძლება გამოვყოთ ყველა 5 წლის ბავშვისათვის დამახასიათებელი თავისებურებები და ქართული კულტურით განპირობებული თავისებურებები.

*ზოგადი თავისებურებები:*

- **ბავშვის ფიზიკური აგებულება:** 5 წლის ბავშვის ხერხემალი არ არის მზად იმისათვის, რომ 35 წუთის განმავლობაში იჯდეს მერხზე გაჭიმული; მასწავლებლების თქმით, ბავშვის ხერხემლის მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ მერხები არ არის კომფორტული და გათვლილი ბავშვის ხერხემლის მდგომარეობაზე. ფიზკულტურის მასწავლებელი მიუთითებს ბავშვებში გახშირებულ სქოლიოზზე, რომელიც მისი თქმით პატარა ბავშვების ხანგრძლივად არასასურველ პოზაში ჯდომას უკავშირდება. მასწავლებლების თქმით, ბავშვის დაღლა ხშირად ვლინდება იმით, რომ იწყებენ მერხებზე გადაწოლას ან მოძრაობას. მშობლებს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით არ აქვს ინფორმაცია. ეს იმაშიც ვლინდება, რომ სასკოლო გაკვეთილის დასრულების შემდეგ, სახლში კვლავ აიძულებენ ბავშვს გააგრძელოს ჯდომა და მოამზადოს გაკვეთილები.

- **5 წლის ბავშვის კონცენტრაცია არ აღემატება 15 წუთს:** მასწავლებლები ამ თავისებურებაზე ხშირად მიუთითებენ. მათი თქმით 5 წლის ბავშვები კონცენტრაციის ნაკლებობის გამო ხშირად ეთიშებიან საგაკვეთილო პროცესს. ამ დროს საჭიროა სპეციალური მეთოდების გამოყენება ბავშვების განტვირთვისა და საგაკვეთილო პროცესში დაბრუნებისათვის. განათლების ექსპერტები ამბობენ, რომ მასწავლებლებმა ხშირად არ იციან ამის შესახებ ან იციან და კლასებში მაინც არ იყენებენ: „მასწავლებლებს როდესაც ვკითხეთ საგაკევთილო პროცესში გადაღლისას რას აკეთებდნენ, მათ გვითხრეს, რომ ბავშვებს ამღერებდნენ. თუმცა მათ ვერც ერთი სიმღერა ვერ გაიხსენეს, რომლებიც საგაკვეთილო პროცესში იმღერებოდა. ეს თავისთავად მიუთითებს იმაზე, რომ მასწავლებლებმა იციან, თუმცა არ იყენებენ ამ მიდგომებს.“ მშობლებმა ბავშვის კონცენტრაციის ხანგრძლივობის შესახებ არ იციან და ამბობენ, რომ მათ შვილს არ უჭირს საათობით ჯდომა და მეცადინეობა.

- **ნებელობის განვითარების დაბალი დონე:** ექსპერტები მიუთითებენ, რომ სწავლა პრინციპულად სხვა საქმიანობაა, რომელიც თამაშისგან განსხვავებულია. სწავლა ნებელობითი პროცესის გამომხატველია. სწავლის დროს მასწავლებელი გასცემს, ხოლო მოსწავლემ უნდა მიიღოს და მოსწავლეს უნდა ჰქონდეს უნარი, რომ შეიმეცნოს, აღზრდის პროცესში განვითარდეს და ცვლილებები განიცადოს ინტელექტუალურად და

პიროვნულად და მათ შორის ნებელობით შეძლოს შესაბამისი სტანდარტების დაკმაყოფილება. ექსპერტების თქმით, ამგვარი ნებელობითი სისტემა 5 წლის ბავშვებში ნაკლებ განვითარებულია.

- **ფიზიკური მოთხოვნილებები:** 5 წლის ბავშვებს უფრო გამძაფრებული აქვთ ფიზიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების სურვილი. მასწავლებლების თქმით ამ მხრივ ყველაზე აქტუალურია ჭამა და ძილი. მასწავლებლები ხშირად მიუთითებენ, რომ 5 წლის ბავშვები საგაკვეთილო პროცესის განმავლობაში იწყებენ ჭამას ან ეძინებათ. ერთ–ერთი მასწავლებლის თქმით, ასევე გამოხატულია თამაშის მოთხოვნილება. როდესაც მათ არ აქვთ სათამაშოები, იწყებენ კალმების დაგდებას და შემდეგ აღებას.

- **5 წლის ბავშვისთვის რთულია სემანტიკური ველიდან ფონემურ ველში გადასვლა და კითხვის დაწყება:** ფსიქოლოგების შეფასებით 5 და 6 წლის ბავშვებს შორის კითხვის თვალსაზრისით არის დიდი განსხვავება: „კითხვის სისტემური კურსის შეთავაზება უკვე შიეძლება 6 წლის ბავშვისათვის. ეს გულისხმობს სიტყვის გრაფიკული ხატის კონვერტირებას აკუსტიკურ ხატზე და გამთლიანებას. ეს ექვსი წლის ბავშვსაც უჭირს არათუ 5 წლისას. 5 წლის ბავშვი მიბმულია სემანტიკურ ველზე. როდესც მას სიტყვას ეუბნები მას წარმოუდგენია ხატი, მაგრამ ვერ აღიქვამს, რომ ფონომური ერთეულებისაგან შედგება. მათ ზოგჯერ სემანტიკური ველი არ აქვთ განვითარებული არათუ ფონემური. მსოფლიოში არსებობს მრავალი მეთოდი, როგორ უნდა განავითარო ეს, მაგრამ საქართველოში ამას მასწავლებლები არ ფლობენ. 5 წლის ბავშვების ნევროლოგიური სისტემაც არ არის სრულყოფილად განვითარებული, თვალის მოძრაობა დაიმორჩილოს და გაყვეს სტრიქონებს. ბაღის მასწავლებელი კითხვის სისტემურ კურსს არ სთავაზობს ბავშვებს, მაგრამ სკოლის მასწავლებელი რა თქმა უნდა ამას სთავაზობს, რადგან სხვა აღზრის სისტემაზე არაფერი იცის.“ ახალ სასწავლო გეგმაში შევიდა სწავლების ახალი მეთოდები, თუმცა ექსპერტები დარწმუნებულები არიან, რომ დაწყებითი კლასების მასწავლებლებს ამის განხორციელების შესაძლებლობა და ნება არ აქვთ. მათი თქმით, ტრადიციულად დამკვიდრებული სწავლების მეთოდით 5 წლის ბავშვებისათვის კითხვის სწავლება მიუღებელია, დედა ენა თავის დროზე 7 წლის ბავშვებისათვის შეიქმნა, არათუ 5 წლის ბავშვისათვის.

  მშობლების მიერ ფონემურ ველში გადასვლის პრობლემები აღინიშნება, თუმცა აღიქმება არა ბავშვის ბუნებრივ თავისებურებად, არამედ, როგორც მის პრობლემას, გამოხატულს ფრაზით „ბავშვს გაუჭირდა“.

- **მოტორიკა ნაკლებად აქვს განვითარებული:** 5 წლის ბავშვებთან მოტორიკის განვითარების დაბალი დონე ვლინდება კალმის ჭერის პრობლემებში, ასოების გამოყვანაში, უჯრებში ასოების ჩასმაში და მაკრატელის ჭერაში. ამის შესახებ მშობლებს ინფორმაცია არ აქვთ და არასდროს მიუთითებენ 5 წლის მოსწავლეთა მსგავს პრობლემებზე. მასწავლებელი ამას ასე ხსნის: „მშობელი ამ პრობლემებს ვერ ხედავს, იმიტომ, რომ ჩვენ სკოლაში ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ბავშვს კალმის ჭერა ვასწავლოთ, ვეცადოთ გამოუვიდეს ლამაზი ასოების დაწერა და უჯრებში ჩასმა. მე პირადად თავიდან ფანქრებით ვაწერინებდი. წინააღმდეგ შემთხვევაში არ ვიცი რამდენი რვეული

დაიხეოდა და რამდენი დედა განერვიულდებოდა, რომ მისი შვილი ცუდად წერს. ეს ყველაფერი მასწავლებლებზე გადადის.“

- **კვლევის მიხედვით 5 წლის ბავშვები განვითარების დონით და კლასში წარმატებებით თითქმის ყველა ასპექტში ჩამორჩებიან 6 წლის ბავშვებს. ეს განპირობებულია ბავშვების განვითარების ციკლით. ფსიქოლოგის თქმით,** „ვერავის ვერ წარმოუდგენია, რომ სადღაც 7 წლიდან დაახლოებით 1 წლიანი სხვაობა გვაძლევს განსხვავებას, ხოლო 6 წლამდე და 7 წლამდე 3 თვეში გვაქვს ცვლილება. ბავშვები ძალიან სწარაფდ ვითარდებიან და ხდება ახალი უნარის შეძენა, ჩამოყალიბება, განმტკიცება. უნარი სოკოსავით ხომ არ ამოვა. უნარი უნდა აღმოცენდეს, განვითარდეს, მერე უნდა განმტკიცდეს და მერე უკვე ხდება ამ უნარის დაფიქსირება. ამას აქვს თავისი ციკლი და ეს ემორჩილება მხოლოდ პედაგოგიურ და სიტუაციურ ზეგავლენებს, ხელს შეუწყობ განმტკიცდება. არ შეუწყობ არ განმტკიცდება; ხელს შეუწყობ განვითარდება, არ შეუწყობ და არ განვითარდება, ე.ი. არც დაფიქსირდება.“ მასწავლებლების თქმით სწორედ ამ განსხვავების შედეგია ის, რომ 5 წლის ბავშვები ზოგადად მაინც ჩამორჩებიან 6 წლის მოსწავლეებს: „ მყავს რამოდენიმე გამორჩეული ბავშვი, რომელიც 5 წლისაა, მაგრამ რაღაცით მაინც უსწრებს 6 წლის ბავშვი. სულ იმას ვფიქრობ, როგორი ძლიერები იქნებოდნენ ეს ბავშვები მშობლებს 6 წლისა რომ მოეყვანათ სკოლაში. მაშინ უკვე ისინი იქნებოდნენ ლიდერები, დღეს კი 5 წლის ბავშვები ლიდერები ვერ არიან.“ მიუხედავად მასწავლებლების ამგვარი პოზიციისა, მშობლებს სხვაგვარი წარმოდგენა აქვთ. მათ უმრავლესობა თვლის, რომ 5 წლის ბავშვმა დაძლია პროგრამა და სხვა თანაკლასელსაც არ ჩამოუვარდება. ერთეულ შემთხვევებში როდესაც მშობელი ამბობს, რომ ბავშვს გაუჭირდა ან სუსტია, მათი თქმით ეს ბავშვის თვისებაა და ის ასევე ვერ იქნებოდა ძალიან წარმატებული 6 წლისაც რომ შესულიყო სკოლაში.
- **პროგრამის დაძლევისას პრობლემების წარმოშობის შემთხვევაში ბავშვი ხელს იღებს სწავლაზე:** ფსიქოლოგების თქმით, ბავშვს ურჩევნია გამოჩნდეს ზარმაცი, ვიდრე აჩვენოს რომ მას „უჭირს“ პროგრამის დაძლევა. ამის გამო ის ხდება აგრესიული და ხელს იღებს სწავლაზე. მასწავლებლები სწორედ ამას უკავშირებენ გვიანდელ პერიოდში ბავშვების მიერ გამოვლენილ სიზარმაცეს. მასწავლებლის თქმით, „ბავშვს თუ ერთხელ ჩამოუყალიბდა იმის განცდა, რომ ის ყველაზე სუსტია და უჭირს მასალის დაძლევა, ეს შეიძლება მთელი ცხოვრება გაყვეს. მასწავლებლები ასახელებენ შემთხვევებს, როდესაც ხუთ წლის მოსწავლეები არ ჩამოუვარდებიან 6 წლისანებს, თუმცა ეს ბავშვისა და მშობლის დიდი ძალისხმევით ხდება. ეს კი მათი თქმით, მთელი ცხოვრება ვერ გაგრძელდება. თანაკლასელებზე დაწევის რეჟიმში ბავშვი სულ ვერ იქნება, ერთხელაც დაიღლება. მე არ მესმის, რატომ ვუკარგავთ ბავშვობას ამ ბავშვებს და რატომ ვტანჯავთ.“ მასწავლებლების თქმით, ის პრობლემები, რომლებიც მოსწავლეებთან მეშვიდე და მერვე კლასიდან იწყება სათავეს დაწყებით კლასებში ან სკოლამდელ დაწესებულებაში იღებს. მშობლებისათვის ეს ფაქტორი ცნობილი არ არის და რა თქმა უნდა გვიანდელ პერიოდში ხშირად საუბრობენ ბავშვების სიზარმაცეზე და მათ გულის აცრუებაზე.

- **ბავშვის მიერ სწავლის პროცესში მიღებული სტრესი უარყოფითად აისხავება მის იმუნურ სისტემაზე:** პედაიტრების თქმით, 5 წლის მოსწავლეებში იმატებს

ჯანმრთელობის პრობლემები. „ადამიანის სურვილი არის, რომ იყოს წარმატებული. ბავშვები ამას ძალიან ადვილად გრძნობენ. როდესაც ხედავენ, რომ ყველას ყველაფერი კარგად გამოსდის, მათი თვითშეფასება ირღვევა. გაკვეთილებზე ისინი ხდებიან პასიურები და არაფერს აღარ ამბობენ იმ შემთხვევაშიც კი, როცა მზად არიან. მათ უყალიბდებათ განცდა, რომ მაინც არაფერი გამოუვათ.“

*ქართული კულტურით განპირობებული თავისებურებები:*

- **საკუთარ თავზე ზრუნვის შესაძლებლობა:** ეროვნულ სასწავლო გეგმაზე მომუშავე ექსპერტები კვლევების დასკვნების საფუძველზე ამბობენ, რომ საქართველოში ბავშვების განვითარების დონე ჩამოუვარდება მსოფლიო სტანდარტებს. მათი თქმით. ეს ქართული აღზრდის თავისებურებებით არის განპირობებული. მშობლებს უნდათ, რომ ყველაფერი თავად გაუკეთონ ბავშვს და მას არ აძლევენ ელემენტარულ თავისუფლებას. ექსპერტების თქმით, ბავშვისათვის თავისუფლების მიცემა მათთვის დამატებით შრომას იწვევს. ამის მაგალითად ექსპერტები ასახელებენ ბავშვების ჭამის კულტურას: „იმისათვის, რომ ბავშვებმა არ დაისვარონ ტანსაცმელი და დასვარონ გარშემო საგნები, მშობელს ურჩევნია თავისი ხელით აჭამოს ბავშვს და ეს გრძელდება ძალიან დიდხანს. იმ დროს, როდესაც ბავშვს ინტერესი უჩნდება თავისით გააკეთოს რაღაცეები, თავისით ჩაიცვას, ჭამოს, მშობლები ამ მისწრაფებებს უკლავენ და უკვე შემდგომ წუწუნებენ იმაზე, რომ მისი შვილი არ არის დამოუკიდებელი.“ მშობლები რეფლექსიას ნაკლებად აკეთებენ ამ საკითხებზე. ფოკუს ჯგუფების მიმდინარეობისას მშობლების უმრავლესობა ამბობდა, რომ მათ 5 წლის შვილს უჭირს ჯინსის შარვლის შეკვრა. როდესაც ვეკითხებოდით, როგორი მოლოდინი ჰქონდათ, რომ სკოლაში ვის უნდა შეეკრა ბავშვისათვის შარვალი, ისინი მასწავლებლებზე მიუთითებდნენ.

- **ბავშვების ინტელექტუალური და მეტორული განვითარების დაბალი დონე, რომელიც ასევე აღზრდის სისტემის ბრალია:** ქართველმა მშობლებმა არ იციან ბავშვის აღზრდისა და მით უფრო სკოლისათვის მომზადების მიმართულებით რა სამუშაო უნდა განახორციელონ ბავშვებთან. ექსპერტები და მასწავლებლები მიუთითებენ, რომ ბავშვებს არ აქვთ საწერი და სახატავი მოწყობილობები, საკმარისი წიგნები, განვითარებისათვის საჭირო სათამაშოები.

- **სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მიმართ არასერიოზული დამოკიდებულება:** ექსპერტები და მასწავლებელები ხშირად მიუთითებენ იმ განსხვავებაზე, რაც არსებობს ბავშვებს შორის ვინც სკოლამდელ დაწესებულებაში დადიოდა და ვინც არ დადიოდა. სკოლამდელი დაწესებულებების განვითარების დაბალი დონე ცალკე საკითხია, რომელსაც შევეხებით. ამ შემთხვევაში საზოგაოდებრივ განწყობაზე ვაკეთებთ აქცენტს. არასერიოზული დამოკიდებულება საბავშვო ბაღის მიმართ ვლინდება იმაში, რომ მშობლები დიდ მზაობას არ გამოხატავენ ბავშვების ბაღში მიყვანასთან დაკავშირებით და ბავშვის მიერ ბაღის მიმართ ნეგატიური განწყობის გამოვლენის შემთხვევაში მას სახლში ტოვებენ და არ ცდილობენ მოუძებნონ შესაფერისი გარემო.

ზემოთ განხილული 5 წლის ბავშვების თავისებურებები აუცილებლად მოითხოვს იმას, რომ ამ ასაკის ბავშვების სასწავლო პროცესში ჩართვის შემთხვევაში საჭიროა მათდამი ახალი მეთოდების და მიდგომების გამოყენება. ეროვნულ სასწავლო გეგმაზე მომუშავე ექსპერტები მიუთითებენ, რომ მათ შექმნეს 5 წლის ბავშვების სწავლების შესაბამისი სტანდარტი, მაგრამ მათი თქმით ეს სტანდარტი რჩება ქაღალდზე. გარდა იმისა, რომ ამ სტანდარტის გამოყენება არ ხორციელდება პრაქტიკოსი მასწავლებლების მიმართ, პრობლემაა შორეული პერსპექტივაც. ექსპერტების თქმით, სახელმწიფო ახალ კადრსაც ვერ ამზადებენ ისე, რომ სამომავლოდ მათ იცოდნენ როგორ უნდა იმუშავონ 5 წლის ბავშვებთან.

**დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ფსიქო–ფიზიოლოგიური განვითარების თვალსაზრისით და კულტურული სისტემის გავლენით 5 წლის მოსწავლეებს აქვთ ბევრი თავისებურება, რომელიც აუცილებლად უნდა იცოდეს მასწავლებლებმა, მშობლებმა. ამ ფაქტორების გათვალისწინებით უნდა მოხდეს ბავშვების სასწავლო პროცესში ჩართვა. თუმცა, მოცემულ მომენტში ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი წინსვლა არ არსებობს და სასწავლო პროცესიც 5 წლის ბავშვებისათვის**

**შეუფერებელ გარემოში მიმდინარეობს.**

## სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების პრობლემები

5 წლის ბავშვების სწავლის პრობლემებთან მიმართებაში რელევანტურია ვისაუბროთ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები უნდა იყოს ის რგოლი, რომელიც თავის თავზე აიღებს ბავშვების სკოლისათვის მომზადებას, მათ სოციალიზაციას და ასევე ბავშვის სკოლისათვის მზაობის შემოწმებას. ამ მიმართულებით კი საქართველოში ბევრი პრობლემა არსებობს.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ საბავშვო ბაღების სისტემა არ არის სრულად განვითარებული მთელი ქვეყნის მასშტაბით. ბევრ სოფელში საბავშვო ბაღები არ ფუნქციონირებს ან ფუნქციონირებს შეზღუდულად. შესაბამისად ამ დასახლებაში მცხოვრებ ბავშვებს ეზღუდებათ სკოლამდელი განათლების მიღების უფლება. რაიონებში ჩატარებულმა ფოკუს ჯგუფებმა ცხადყო, რომ რაიონულ ცენტრებშიც კი არის საბავშვო ბაღების პრობლემა და დასახლებების ნაწილს არ აქვთ ფიზიკური ხელმისაწვდომობა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებთან.

განათლების ექსპერტების აზრით, საქართველოში არასაკმარისად ფასდება სკოლამდელი და დაწყებითი განათლება. მათი თქმით, საზოგაოდებაში არ არის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბავშვის ჰარმონიული განვითარება და თუნდაც მისი სწავლისადმი დამოკიდებულება ამ ასაკიდან ყალიბდება, და სწორედ ამ ეტაპზე უნდა მოხდეს ბავშვის პრობლემებთან განმკლავება.

სკოლამდელი დაწესებულებების გავლის არასავალდებულობა კიდევ უფრო ამძიმებს 5 წლის ბავშვების სწავლების საკითხებს. ექსპერტების აზრით, ამ სფეროში ცვლილების პერსპექტივაც ძალიან ბუნდოვანია. ერთი მხრივ, სკოლამდელი აღზრდის სისტემის გავლის სავალდებულოობა არ არის განათლების სამინისტროს პრეროგატივა, და მეორეს მხრივ, არანაირი რესურსი არ ეყოფა ამგვარი კანონის მიღებას. საბავშვო ბაღების სავალდებულოობა გამოიწვევს იმ პროცესებს რაც თბილისში მოხდა. ექსპერტების აზრით, საბავშვო ბაღების ჯგუფებში 40–45 ბავშვის ყოფნა ყოვლად მიუღებელია და შეიძლება უფრო ნეგატიური შედეგი ჰქონდეს, ვიდრე სკოლამდელი დაწესებულების გაუვლელობას.

გარდა ამისა, სკოლამდელი აღზრდის სისტემა გადავიდა მუნიციპალიტეტების დაქვემდებარებაში, რაც ხელს უშლის ერთიანი საგანმანათლებლო გეგმის განხორციელებას. ეროვნულ სასწავლო გეგმაზე მომუშავე ექსპერტების თქმით, ბაღებისათვის შეიქმნა სასწავლო გეგმა, მაგრამ რადგან ბაღები გადასულია მუნიციპალიტეტების დაქვემდებარებაში, ამ გეგმას აქვს მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი და შეუძლია ბაღს გაითვალისწინოს ან არ გაითვალისწინოს. მათი თქმით, სკოლამდელი მეთოდოლოგიური აღზრდის სტანდარტების არასავალდებულობა ყოვლად მიუღებელია. მშობლებმაც არ იციან სტანდარტები და არ იციან რა მოსთხოვონ ბაღს. მშობელს გონია, რომ რამოდენიმე ინგლისური სიტყვის დამახსოვრება და კარგი გარემო საკმარისია ბავშვის მომზადებისათვის. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა ამ მხრივ კერძო ბაღებში. ექსპერტების აზრით, კერძო ბაღების გახსნა მცირე ბიზნესად იქცა, რომელსაც ახორციელებს ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც არანაირი შეხება არ ჰქონია აღზრდის თავისებურერებთან. გარდა ამისა კერძო ბაღებში არ არის შესაბამისი სივრცე

ბავშვების განვითარებისათვის. არცერთ კერძო ბაღს არ აქვს ეზო და ბავშვები მთელ დღეს ერთ ოთახში გამოკეტილები ატარებენ. ამ პრობლემის დასაძლევად ექსპერტებს საჭიროდ მიაჩნიათ ბაღებმა გაიარონ აკრედიტაცია.

გარდა ამისა, სკოლამდელ დაწესებულებებთან მიმართებაში დგება ადამიანური რესურსის პრობლემაც. ექსპერტების აზრით, საბავშვო ბაღების პედაგოგების უმრავლესობას არ აქვს პედაგოგიური განათლება, არ იციან საჭირო მეთოდები და მიდგომები. შესაბამისად ის სტანდარტიც, რომელიც განათლების სამინისტროში შეიქმნა ბაღებისათვის არარელევანტურია ქართულ სივრცეში, რადგან მასწავლებლების კვალიფიკაცია ძნელად თუ გაწვდება ამ სტანდარტებს.

ექსპერტების აზრით, სკოლამდელი განათლების მოუწესრიგებლობის გამო, ბავშვები არ არიან მზად სკოლისათვის. შედეგად ძალიან დიდი თანხები იხარჯება: ბავშვებს სჭირდებათ ფსიქოლოგიები, ნევროლოგები, ინკლუზიური განათლება, იქმენა ინტერდისციპლინარული ჯგუფები. ამიტომ ფსიქოლოგების აზრით, საბავშვო ბაღის ბაზაზე უნდა მოხდეს ადრეული ინტერნაცია, სადაც არსებული პრობლემები აღმოიფხვრება. ეხლანდელ სისტემაში კი პირიქით, სწორედ ამ ეტაპზე ჩნდება დამატებითი პრობლემები.

**დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ 5 წლის ბავშვების სწავლებასთან მიმართებაში აუცილებელია რეფორმების გატარება სკოლამდელ დაწესებულებაში. ერთ–ერთი ექსპერტის აზრით, ამას სჭირდება დიდი რესურსი, მაგრამ ამ რესურსს ეხლა თუ არ გაიღებს სახელმწიფო, შემდგომ ორმაგად მოუწევს ხარჯების გაწევა უკვე ბავშვების დამახინჯებული ფსიქიკის გამოსასწორებლად. გარდა ამისა, ყველა რგოლი მიუთითებს იმაზე, რომ მნიშვნელოვანი განსხვავებაა იმ ბავშვებს შორის, რომლებმაც იარეს საბავშვო ბაღში და რომლებმაც არ იარეს. საბავშვო ბაღში ბავშვის ჩაურთველობით კი, ჩვენ არათანაბარ მდგომარეობაში ვაყენებთ მას. კარგი მონაცემების ბავშვიც კი იჩაგრება, რადგან მას არ აქვს მომზადება, ვერ დაძლევს პროგრამას და ამით უმცირდება მოტივაცია. ექსპერტების აზრით, საბავშვო ბაღში ბავშვის ჩართულობა მისი უფლებაა, რადგან ეს მისი ჰარმონიული და თანამიმდევრული განვითარების საწინდარია და თუ სკოლამდელი აღზრდა არასავალდებულო იქნება, ამით ბავშვების განათლების უფლების შელახვა მოხდება.**

## 5 წლის ბავშვების ხშირად გამოვლენილი პრობლემები სკოლაში;

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ პირველ კლასებში 5 წლის მოსწავლეთა წილი ერთი მესამედი ან უფრო მცირეა. მასწავლებლები მიუთითებენ, რომ 5 წლის ბავშვების მიღების შესახებ კანონის ძალაში შემოსვლამდეც ჰქონიათ 5 წლის ბავშვების მიღების პრაქტიკა, მაგრამ მათი თქმით, სანამ კანონი ნებას არ რთავდა მშობლებს და მხოლოდ გამონაკლისის სახით უშვებდა 5 წლის ბავშვის მიღებას, გამონაკლისის მქონე ბავშვები განსაკუთრებულები იყვნენ და სკოლისათვის მომზადებულები მოდიოდნენ. მასწავლებლების თქმით, კანონის შეცვლის შემდგომ, 5 წლის ბავშვის სკოლაში მიყვანა თითქოს სავალდებულო გახდა[1] და ყველა ბავშვი, მიუხედავად იმისა მზად არის თუ არა სკოლისთვის, მიყავთ სკოლაში.

მასწავლებლების თქმით, 5 და 6 წლის ბავშვებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა.

მასწავლებლების აზრით, 5 წლის ბავშვებს ხშირად აქვთ გაუმართავი მეტყველება (საუბრობენ ენის მოჩლექვით და მწირია მათი ლექსიკური მარაგი), უჭირთ გაკვეთილზე კონცენტრაცია (15–20 წუთის შემდგომ აღარ შეუძლიათ საგაკვეთილო პროცესში ჩართვა), უჭირთ კითხვა (ასოებს სწავლობენ, მაგრამ მარცვლით ან გამართულად კითხვა უჭირთ). 5 წლის ბავშვებთან აქტუალურია წერის პრობლემები. ხშირად მიუთითებენ ბავშვები ხელის დაღლაზე და ხანდახან ეს სიმულაციაში გადადის: „ერთი ბავშვი მყავს, წერისას სულ იძახის ხელი დამეღალაო. ეს იმდენად გაუჯდა, რომ როდესაც კითხვას ვთხოვ, მაშინაც ამბობს, რომ ხელი დამეღალა და ვერ წავიკითხავო.“ თითქმის ყველა მასწავლებელი მიუთითებს 5 წლის ბავშვების მოტორიკის ჩამოუყალიბებლობაზე, რომელიც ძირითადად წერის პრობლემებში ვლინდება.

კერძო სკოლის მასწავლებლების მიდგომები 5 წლის ბავშვებთან მიმართებაში განსხვავებულია. მათ კლასის ზომა და ინფრასტრუქტურა აძლევთ იმის საშუალებას, რომ კლასი თავისუფლად მართონ. ერთ–ერთი პედაგოგის თქმით, 5 წლის ბავშვების კონცენტრაცია დაახლოებით 10–15 წუთია, მაშინ როდესაც ისინი მშრალი საქმიანობით არიან დაკავებულები (იგულისხმება წერა და კითხვა). მაგრამ თუ გაკვეთილის განმავლობაში 3 სხვადასხვა აქტივობაა ჩართული, თამაში, პროექტორით მასალის ჩვენება და გამოკითხვა, მაშინ შესაძლოა ამ ბავშვების კონცენტრირება. კოგნიტური თვალსაზრისით მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ 5 წლის მოსწავლეებს უჭირთ მასწავლებლის მიერ მიცემული რამოდენიმე დავალების გაკეთება: „პირველი გაიგო, შეიძლება მეორეც, მაგრამ მესამე უკვე აღარ ახსოვს. თუნდაც ეს დავალებები იყოს მიზეზ–შედეგობრივი და ერთმანეთთან დაკავშირებული, მათ ამის აღქმა მაინც უჭირთ. მაგალითად ერთი ნიშნით გილაგებს საგნებს, მაგრამ იქ როგორც კი მეორე ნიშანი ერთვება, ის უკვე ამას ვეღარ აკეთებს.“

მასწავლებლები ასევე აღნიშნავენ პრობლემებს სხვადასხვა საგანთან მიმართებაში. მათი თქმით, ქართულის გაკვეთილები იმდენად პრობლემას არ წარმოადგენს, რადგან მშობლების უმრავლესობას იმიტომ მიყავს ბავშვი სკოლაში, რომ მან ასოები და კითხვა იცის. მაგრამ მათემატიკა 5 წლის მოსწავლეებს მასიურად უჭირთ. „მათემატიკის გასაგებად ბავშვებს მეტი ძალისხმევა ჭირდებათ, აქ უკვე აზროვნება სჭირდება ბავშვს. რაც მისი თავისებურებებიდან

[1] გორში პედაგოგებმა და მშობლებმა აღნიშნეს, რომ კანონის გამოსვლის შემდგომ, რაიონში გავრცელდა ჭორი, რომ 5 წლის ბავშვის შეყვანა იყო სავალდებულო და ვინც არ შეიყვანდა მას დააჯარიმებდნენ. ამ ინფორმაციამ როგრც ჩანს თავისთავად გაზარდა 5 წლიანების სკოლაში მიყვანის სიხშირე.

გამომდინარე უჭირს. ამიტომ ურჩევნია იკითხოს ქართული, რადგან ეს გამოდის და ამ სფეროში ამაყია, ვიდრე იმეცადინოს მათემატიკა, რომელიც მისთვის რთულია და დამატებით გონების დაძაბვას მოითხოვს.“

განსხვავება 5 და 6 წლის მოსწავლეებს შორის ვლინდება ფსიქო ემოციური თვალსაზრისითაც: „ძალიან გულჩვილები არიან და ელემენტარულ რამეზე უჩუყდებათ გული. ამას წინათ ერთი 5 წლის ბიჭი, რომელიც საკმაოდ თავშეკავებული ჩანს, მეუბნება: „ეხლა ისეთ კარგ ხასიათზე ვარ ვარ, რომ ცრემლები მომდის. გარეთ თოვს და მე სოფელში მივდივარ.“ უამრავ რამეზე უჩუყდებათ გული. მაგალითად იმაზე, რომ სხვა ბავშვმა მასზე სწრაფად აიწია ხელი.“

5 წლის ბავშვებისათვის გაკვეთილი ისევ თამაშია, რომლის დროსაც ემალებიან მასწავლებელს, ეთამაშებიან. არის შემთხვევები, რომ 5 წლის ბავშვებს გადაჭარბებულად აქვთ სითბოს გამოვლენის მოთხოვნილება: უნდებათ კალთაში ჩაჯდომა, მოფერება, კოცნა, მასწავლებელს თხოვენ, რომ მათი საჭმელი მანაც შეჭამოს. არის შემთხვევები, როდესაც ბავშვებს მერხზე ეძინებათ, თუმცა მასწავლებლების თქმით ეს არ არის უშუალოდ დაკავშირებული ასაკთან და იგივე შემთხვევები აქვთ ზედა კლასებში. მასწავლებლების ახსნით, ეს იმის ბრალია, რომ მშობლები ბავშვებს გვიან აძინებენ. მასწავლებლების თქმით 5 წლის ბავშვების პრობლემა კონცენტრაცია უფრო არის ვიდრე დაღლა. სხვადასხვა ბავშვში დაღლა სხვადასხვაგვარად ვლინდება. ზოგი ხდება მოუსვენარი და იწყებს ცმუკვას, მაგრამ ძირითადად იწყებენ გადაწოლას მერხზე და იწელებიან. სწორედ აქ ჩანს ის, რომ მათი ხერხემალი ვერ უძლებს გაკვეთილის განმავლობაში ერთ ადგილზე, მერხებზე ჯდომას. მასწავლებლები მოსწავლეთა დაღლის შემთხვევაში შემდეგ მეთოდებს მიართავენ: თხოვენ დახატოს თემის შესაბამისი რამ, აკეთებინებენ მსუბუქ ფიზიკურ სავარჯიშოებს ან ათამაშებენ.

მასწავლებლის თქმით, ბავშვებს აქვთ მოთხოვნილება, რომ ხშირად წაუკითხო, სხვა თემაზე ესაუბრო, მათ არ უნდათ ეს ჩარჩოები: „ხშირად მთხოვენ ზღაპრის წაკითხვას. მეუბნებიან თქვენ წაგვიკითხეთ, ჩვენ თვალებს დავხუჭავთ და წარმოვიდგენთო. ისევ უნდათ ზღაპრის სამყაროში ცხოვრება და არ უნდათ ფორმალიზებული გაკვეთილი. ეს ხომ მათი ასაკისათვის ბუნებრივია!“

გარდა ამისა, მასწავლებლები მიუთითებენ 5 წლის ბავშვებში მოტივაციის ნაკლებობაზე. „მაგალითად უცებ განაცხადებს ბავშვი, რომ მას არ უნდა წერა და ზის გაჩერებული. მოტორიკის შესაბამის დონეზე განუვითარებლობაზე გარდა წერის კულტურისა მიუთითებს სხვა ფაქტორიც. მასწავლებლების თქმით, პრობლემა ჩნდება ბუნების გაკვეთილებზე, როდესაც 5 წლის ბავშვებს არ შეუძიათ მაკრატელის ხელში ჭერა და ფიგურების გამოჭრა. მასწავლებლები მიუთითებენ, რომ ბავშვებს ზოგადად უჭირთ თასმების შეკვრა და ზოგჯერ შარვლის შეკვრაც კი. ამ ასპექტში განსხვავება ვლინდება ვაჟებსა და გოგონებს შორის. გოგონები უფრო მეტად ახერხებენ თასმის და შარვლის შეკვრას და ამაში ვაჟებსაც ეხმარებიან. ამ ასპექტებში მნიშვნელოვანი განსვლა 5 და 6 წლის ბავშვებს შორის არ ვლინდება. ეს უნარი, როგორც ჩანს ორივე ასაკში ნაკლებ განვითარებულია.

მასწავლებლები მიუთითებენ ორმაგი სარკის ეფექტზე. ეს ვლინდება ასოების უკუღმა დაწერაში და სიტყვების უკუღმა დაწერაში. მეორე კლასის პედაგოგი, მიუთითებს, რომ 5 წლის

ბავშვებს, რომლებიც პირველ კლასში გამართულად წერდნენ, მეორე კლასში გამოუვლინდათ სარკისებული ეფექტით წერა, რაც მისთვის ძნელად ასახსნელია. ფსიქოლოგის თქმით, ბავშვებს რომელთაც გვიან ეწყებათ პრობლემები, უფრო საგულისხმოა, ანუ მათ რეალური პრობლემები აქვთ. როდესაც მასალის მოცულობა იზრდება ან მასალა რთულდება, იმ ბავშვებს რომელთაც შეიძლება „დასწავლის“ პრობლემები ჰქონდეთ შეიძლება პრობლემები უფრო უღრმავდებათ და ისეთი ფორმით იწყებს გამოვლენას, რომელიც პირველ კლასში არც იჩენდა თავს.

მასწავლებლების თქმით, არის შემთხვევები, როდესაც ისინი 5 წლის მოსწავლის მშობელს აფრთხილებენ, რომ ბავშვს უჭირს სკოლაში სწავლა. თუმცა ამაზე მშობლები ცუდად რეაგირებენ (ამბობენ ფრაზებს: „რა, ჩემი შვილი ყველაზე სუსტია?!“) და ბავშვის სკოლიდან გაყვანაზე უარს აცხადებენ. ერთ–ერთ მსგავს შემთხვევაზე პედაგოგი ამბობს, რომ დროთა განმავლობაში ამ ბავშვმა ვერ დაძლია პროგრამა და განუვითარდა ზეპირი მახსოვრობა (ანუ კლასში ახსნილს კარგად იგებს და ითვისებს, მაგრამ ვერ კითხულობს, ვერ წერს დავალებებს). მასწავლებლები მიუთითებენ იმ შემთხვევებზე, როცა მშობლები ბავშვის გაყვანაზე იმიტომ ამბობენ უარს, რომ უკან არ დააბრუნონ ბუკი. 2010 წელს გაეროს ბავშვთა ფონდმა ჩაატარა კვლევა სასკოლო მზაობის შესასწავლად. კვლევა მიმდინარეობდა მას შემდგომ რაც 5 წლის ბავშვების მიღების საკითხი გადაწყდა. კვლევის პროცეში გამოვლინდა არაერთი შემთხვევა აკადემიური წლის დაწყებიდან ორი კვირის განმავლობაში 5 წლის ბავშვის სკოლიდან გაყვანის.

ერთ–ერთი მასწავლებლის თქმით, განსაკუთრებით მძიმეა კერძო სკოლებში 5 წლის ბავშვების მიყვანა, სადაც ბავშვები 5 საათამდე არიან დაკავებულები. „თანდათან ვხედავ, როგორ ხდებიან ეს ბავშვები ნერვიულები, როგორ იწყებენ კალმების ღრღნას. ამ შემთხვევაში პრობლემა არ არის ის, რომ ამ ბავშვებს ჩვენ ვერ ვასწავლით, მაგრამ ეს იქნება მექანიკური ნასწავლი. მას ვერ ექნება ეს გააზრებული. საქმე ისაა, რომ მას არ აქვს ამ ყველაფრისათვის მზად ფსიქიკა, მას არ აქვს მოტივაცია, არ იცის რატომ ზის გაკვეთილზე. მაგალითს მოვიყვან. მათ სიყვარულის გამოხატვაც კი სხვანაირი აქვთ. მაგალითად მეუბნება ჩემი კატლეტი მასწავლებელიო. საქმე ისაა, რომ მას კატლეტი უყვარს ყველაზე მეტად. ის აზრზე არ არის ვინ არის მასწავლებელი და ასე გამოხატავს თავის აღქმას. ცოდოები არიან ეს ბავშვები 5 წლის ასაკში სკოლაში შეყვანისათვის.“ კერძო სკოლებში საჯარო სკოლებზე ინტენსიურად ვლინდება ძილის პრობლემები (რადგან ბავშვები ამ სკოლებში 5 საათამდე არიან) და ჭამის პრობლემები (ხშირად ბავშვებმა არ იციან დამოუკიდებლად ჭამა. ისინი როცა რჩებიან თეფშთან მარტო არ იციან რა ქნან). მშობლებთან დიდი ხნით განშორება და თვის თავზე დამოუკიდებლად ზრუნვა სხვა ფორმითაც ვლინდება ამ ასაკის ბავშვებში. ერთ–ერთი კერძო სკოლის მასწავლებლის თქმით, 5 წლის მოსწავლემ დაწერა, რომ ის ოცნობობს ტახტზე წამოწვეს და მშობელმა თავისი ხელით აჭამოს.

მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ 5 წლის ბავშვებშიც დიდი განსხვავებაა. ის ბავშვები, რომლებიც იანვრის ჩათვლით არიან დაბადებულები უფრო მზად არიან სკოლისათვის, ვიდრე თებერვლიდან დაბადებულები. მეორე კლასის მასწავლებლებლის თქმით, 5 წლის ბავშვების ნაწილი, რომელიც პირველ კლასში კარგად სწავლობდა და ადაპტაციისა თუ სწავლის პრობლემები არ ჰქონდა, უკვე მეორე კლასიდან ამჟღავნებს სისუსტეს. მასწავლებლების თქმით დიდი განსხვავებაა იმ 5 წლის ბავშვებს შორის, რომლებიც საბავშვო ბაღში დადიოდა და იმ ბავშვებში, რომლებსაც საბავშვო ბაღში არ უვლია. მასწავლებლების თქმით, იმ ბავშვებს

ზოგადად და არა მხოლდო 5 წლიანებს, რომლებსაც საბავშვო ბაღში არ უვლიათ ნაკლებ აქვთ სოციალური უნარ–ჩვევები განვითარებული. უჭირთ ადაპტაცია, თანაკლასელებთან თამაში, თავისი ნივთების გაზიარება და სკოლაში გაკვეთილზე დარჩენა. გარდა ამისა, მასწავლელების თქმით, ბავშვები, რომლებიც სკოლამდელ დაწესებულებაში არ ყოფილან ჩართულები აკადემიურ ჩვევებიც ნაკლებად განვითარებული აქვთ. „ორი 5 წლის ბავშვი მყავს ისეთი, რომ ფანქარიც კი არ სჭერიათ ხელში. მაგალითად ვთხოვ დამიხატე წრე, არ იცის წრე როგორია და ვერც ფანქარს ვერ იმორჩილებს რომ დახატოს. მე მშობლის მიკვირს, ბაღში როცა არ ატარა, სახლში რაღაც მაინც ვერ ასწავლა?“

მშობლების თემა ძალზე აქტუალურია ბავშვების სასკოლოდ მომზადებასთან მიმართებაში. მასწავლებლების თქმით, ბავშვი ოჯახის სარკეა. ეკონომიკური პრობლემები, დანგრეული ოჯახები, ნაადრევ ასაკში შექმნილი ოჯახები, ეს ის ინდიკატორებია, რომლებიც შემდგომ ბავშვების განვითარების დაბალ დონეზე აისახება. ის მშობელი, რომელიც დილიდან–საღამომდე მუშაობს და არ სცალია, ვერ ხედავს ადექვატურად ბავშვს, ზოგჯერ არც კი იცის რა სჭირდება ბავშვს. რეგიონებში მნიშვნელოვანი პრობლემაა ის, რომ მშობლებს არ აქვთ ეკონომიკური საშუალება რომ ბაღის გადასახადი გადაიხადონ და ამიტომ არ ატარებენ საბავშვო ბაღში ბავშვს. გორის პედაგოგები მიუთითებენ, რომ ზოგიერთ სოფელში ბაღებს არ შეუძლიათ საჭმელის მოზადება და მშობელს სთხოვენ საჭმელი გამოატანონ. ამ შემთხვევაში შეიძლება მშობელს არ აქვს ისეთი საჭმელი, რომ ბავშვს გაატანოს და სახლში ტოვებს შვილს. მასწავლებლების აზრით, რაც არ უნდა განათლება მისცეს მშობელმა ბავშვს, თუკი მას ბაღში არ უვლია ყოველთვის ჩამორჩება სხვებს.

მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ 5 წლის ბავშვები უფრო მეტად ეგოცენტრულები არიან და არ არიან ღია თანამშრომლობაზე. კერძო სკოლის მასწავლებლის თქმით, როდესაც ბავშვებს წყვილებში ამუშავებს ხშირია შემთხვევა, რომ ამგვარ აქტივობაზე 5 წლის ბავშვი უარს აცხადებს. ამის მიზეზი არის ის, რომ ისინი არ არიან გაზიარებას მიჩვეული. სხვა მასწავლებლის თქმით, სკოლაში 5 და 6 წლის ბავშვებს შორის ის განსხვავებაა, რომ 5 წლიანებს ნაკლებად შეუძლიათ თავის თავზე ზრუნვა, თავის ნივთების მოგროვება, ჩანთის ჩალაგება. მისი თქმით ხშირია შემთხვევები, როდესაც 6 წლის გოგონები ეხმარებიან პატარებს ამ საქმიანობებში და თავადვე ხსნიან ამ ფაქტებს: „პატარაა მასწ და დავეხმარე“.

მასწავლებლები მიუთითებენ, კერძო და საჯარო სკოლის განსხვავებაზე. კარძო სკოლაში გარდა იმისა, რომ სხვა სოციალური ფენის ბავშვები დადიან, მშობელი არის პრეტენზიული და სკოლის მიმართ უფრო მეტი მოთხოვნები აქვთ, ეს კი ბავშვებზეც აისახება. კერძო სკოლებში უფრო ხშირად არის ის შემთხვევები, როცა ბავშვები უარს აცხადებენ რაიმე დავალების შესრულებაზე.

მასწავლებლებისაგან განსხვავებით მშობლები უფრო ნაკლებ მიუთითებენ სასწავლო პროცესში 5 წლის ბავშვების პრობლემებზე. თუმცა, გამოვყოფთ რამოდენიმეს. წერა–კითხვასთან დაკავშირებით: „მიუხედავად იმისა, რომ მთელი ანბანი გაიარეს, მას დღემდე ერევა ”ა“ და „ი“ ასო;“ „წერის მხრივ აქვს პრობლემა, გრაფაში ვერ სვამს ასოებს;“ „კალიგრაფია გვაქვს ცუდი, ლამაზად ვერ წერს;“„ინგლისური უჭირს. ასოების სწავლისას პროტესტს გამოთქვას. წესით მეორე კლასიდან მაინც უნდა იწყებოდეს ინგლისური. ჯერ ქართული არ იცის ბავშვმა...“

მშობლები იშვიათად, მაგრამ ერთეულ შემთხვევებში მიუთითებენ იმაზე, რომ ბავშვს სამეცადინოდ დაჯდომა უჭირს. მშობლების მხრიდან გამოთქმულ პრობლემებშია მძიმე ჩანთების ტარება, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც მათ ბუკი უდევთ ჩანთაში. მშობლები არ მიუთითებენ 5 წლის მოსწავლეთა ფსიქო–ემოციურ პრობლემებზე, კომუნიკაციის პრობლემებსა და ჯანმრთელობის პრობლემებზე.

ერთ–ერთი მასწავლებლის თქმით „ბავშვები არიან ღრუბელივით, ისინი იმდენ წყალს შეისრუტავენ, რამდენასც დავასხამთ, მაგრამ რაღაც მომენტში ხდება ამის გადავსება. სწორედ ამის მაჩვენებელია ის, რომ მეექვსე, მეშვიდე კლასებში გვეწყება პრობლემები, ბავშვებს უჩნდება პროტესტი, ნიჰილიზმის განცდა. ჩვენ არ ვფიქრობთ ბავშვის ფსიქოლოგიაზე. კი, ბავშვმა შეიძლება იცოდეს წერა, კითხვა, მაგრამ მისი ფსიქიკა არ არის იმისათვის მზად, რომ 35 წუთი გაკვეთილზე იჯდეს. მას არ უნდა ჩარჩოში წერა, მაშინ როცა უნდა რომ ჯღაბნოს. მისი აღქმა არის სარკისებული და რასაც სწავლობს, სწავლობს მექანიკურად.“

მასწავლებლების თქმით, 5 წლის ბავშვების განათლება არ არის ინდივიდუალურ დონეზე განსახილველი. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ბავშვი ინტელექტულაურად კარგად არის მომზადებული, იცის კითხვა, წერა, მათ მაინც უჭირთ მოსწავლეობა, მათ აქვთ სივრცისა და დროის სხვაგვარი აღქმა, მოტორიკა, მეტყველების აპარატი. ამიტომ, თუ 5 წლის ბავშვების სკოლაში მიღება აუცილებლად უნდა დარჩეს, მაშინ საჭიროა ამისათვის დაიდოს განსხვავებული სასწავლო გეგმა, მოწესრიგდეს და გაიმართოს შესაბამისი სივრცე და გამოცალკავდეს 5 წლის და 6 წლის ბავშვები.

ფსიქოლოგები მიუთითებენ იმაზე, რომ 5 წლის მოსწავლეებში მოიმატა ფსიქიკურმა პრობლემებმა. ეს ვლინდება უნებლიე შარდვით, ტიკებით, ენის ბორძიკით, შიშებით, სკოლაში გულის რევით, მუცლის ტკივილით. ერთ–ერთი ფსიქოლოგი 5 წლის მოსწავლეების ფსიქიკურ პრობლემებს შემდეგნაირად ხსნის: „5 წლის ბავშვს არ ესმის ფონოლოგია და რა უნდა მას გაკვეთილზე, მერე დგება, მასწავლებელსაც ნერვებს უშლის, მერე მასწავლებელი ეჩხუბება და ამას გონია, რომ ეს სასწავლო პროცესი არის ეგეთი, რომ უნდა გეჩხუბონ და შედეგად ვიღებთ სომატურ გამოვლინებებს და ღია პროტესტს.“ ფსიქოლოგის თქმით, არიან ბავშვები, რომლებიც ღიად ამბობენ, რომ არ უნდათ სკოლაში წასვლა. მათი აზრით, როცა ბავშვის პროტესტს არ აქვს სომატური გამოვლინება და პროტესტს ველბარულად გამოხატავს, ეს უკეთესია.

**დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ 5 წლის ბავშვების სწავლების პროცესში არაერთი პრობლემა გამოვლინდა. პრობლემებია უშუალოდ აკადემიურ უნარ–ჩვევების ათვისებაში, თუმცა უფრო საგულისხმოა ამ ბავშვების ფსიქიკური მდგომარეობა, ფიზიკური და ემოციური სტრესი.**

## 5 წლის ბავშვებთან მიმართებაში სისტემური პრობლემები:

5 წლის ბავშვების სწავლების სისტემურ პრობლემებში სხვადასხვა საკითხის გამოყოფა შეიძლება: პედაგოგების პრობლემები, ინფრასტრუქტურის პრობლემა, შრომის ბაზარზე მოზარდის გასვლის ასაკი, ინკლუზიური განათლება და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა სწავლის პრობლემები.

### *მასწავლებლების პრობლემები:*

დაწყებითი კლასების პედაგოგების თქმით, დაწყებითი კლასების მასწავლებლებზეა დამოკიდებული ბავშვის ფსიქიკის ჩამოყალიბება, ბავშვის სწავლის მიმართ დამოკიდებულება. ამიტომ მათი აზრით, სწორედ ამ პერიოდს უნდა მიექცეს ყველაზე დიდი ყურადღება ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში: „ამ კვლევაში სწორედ ეს უნდა ჩაიდოს. თუ ვინმე მოსაფრთხილებელია, თუ ვინმე მოსამზადებელია, ეს პირველ რიგში დაწყებით კლასების მასწავლებელია. დაწყებითი კლასების მასწავლებლებს არ ეპატიებათ უცოდინარობა, გულგრილობა, მოუწესრიგებლობა, გაუმართავი მეტყველება, თუნდაც ცუდი გემოვნება. როგორც მშობლებს ემსგავსებიან შვილები, ისე ემსგავსებიან დაწყებით კლასების მასწავლებლებს მოსწავლეები. ბავშვებმა არ იციან იმის გარჩევა კარგი ხარ თუ ცუდი ხარ, იმას უყვარხარ და გბაძავს. ამიტომ ჩვენ უფრო მეტი რამ მოგვეთხოვება. ასე იყო აქამდე და ეხლა უფრო გამძაფრდა. 5 წლის ბავშვს რომ უშვებ სკოლაში მისი ფსიქიკის განვითარება სწორედ მასწავლებელზეა დამოკიდებული. ამიტომ არის ყველაფერი გასათვალისწინებელი და ყველა მასწავლებელი არ არის შესაშვები სკოლაში.“

სხვა მასწავლებელი ამბობს, რომ 5 წლიანებთან ერთად მას უხარია, რომ არ ყავს სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლე: „მაშინ აღარ ვიცი რას გავაკეთებდი. ხუთ წლიანებს ისადაც სხვა მიდგომა უნდათ, მათთვის დედაც უნდა იყო, მასწავლებელიც, დიჯეიც და ა.შ.. და 30 ბავშვიან კლასში რამდენი უნდა აკეთოს მასწავლებელმა, რომ 5 წლის ბავშვსაც მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება, 6 წლის ბავშვიც არ დაეჩაგროს და კიდეც დამატებით ყავდეს ინკლუზიური განათლების საჭიროების მქონე მოსწავლე.“

მასწავლებლები (თუნდაც ისინი, ვისაც 5 წლის ბავშვების თავისებურებებზე ჩაუტარდათ ტრენინგი) არ არიან მზად იმისათვის, რომ მიიღონ 30 ბავშვი, აქედან 10 ხუთი წლის და მათ თავისებურებებზე იფიქრონ, მიიღონ ის რომ ბავშვი უნდა ადგეს, უნდა ითამაშოს. გარდა ამისა, როდესაც შერეული ჯგუფია მასწავლბლებს უჭირთ სხვადასხვა მეთოდით მიუდგეს 5 და 6 წლის მოსწავლეს.

ამ პრობლემებზე განათლების ექსპერტებიც მიუთითებენ. მათ თქმით, მასწავლებლებიც მძიმე მდგომარეობაში აღმოჩდნენ; ისინი დადგნენ ფაქტის წინაშე; მათ აქვთ ადმინისტრაციული შეზღუდვები. 35 ბავშვისაგან შემდგარ კლასებში არათუ სივრცე, არამედ გასავლელიც კი არ რჩება მასწავლებლისათვის. ამ პრობლემებზე მასწავლებლებიც მიუთითებენ და კითხულობენ: „რატომ შემოვიდა ცალკ–ცალკე მერხები, რომ მასწავლებლებს ჰქონოდათ კლასში თავისუფლად დიზაინის შეცვლა, ეხლა კი არათუ გადაადგილება, არამედ გავლაც კი შეუძლებელია.“

რეგიონის მასწავლებლების ფოკუს ჯგუფიდან მხოლოდ ერთ მასწავლებელს ჰქონდა გავლილი ტრენინგი 5 წლის ბავშვების თავისებურებებთან დაკავშირებით. მისი თქმით ტრენინგი საინტერესო იყო და მაგალითად თამაშით გაკვეთილის ახსნის მეთოდს ის აქტიურად იყენებს კლასში, თუმცა როდესაც კლასი დიდია და შერეული, ყველა ნასწავლი მეთოდის გამოყენება მათთვის შეუძლებელია. სხვა დაწყებითი კლასების მასწავლებლები კი თვლიან, რომ მსგავსი ტრენინგები უნდა იყოს უფრო მასშტაბური, ორგანიზებული თითეულ რაიონში და ისინიც დიდი სიამოვნებით ჩაერთვებიან მასში.

თბილისში, დაწყებითი სკოლის პედაგოგების თქმით, 5 წლის ბავშვების პრობლემები თავისთავადია და მათი ბუნებრივი თავისებურებებია. ამიტომ, მასწავლებლების კვალიფიკაციაზე და გადამზადებაზე მეტად ამ საკითის განხილვა უნდა მოხდეს ბავშვთან მიმართებაში. ისინი საჭიროდ მიიჩნევენ 5 და 6 წლის ბავშვების ჯგუფებში განცალკავებას და თითოეულ ჯგუფთან ცალცალკე მუშაობას. თუმცა იგივე მასწავლებლები რადიკალურად წინააღმდეგები არ არიან ტრენინგების გავლის.

მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ 5 წლის ბავშვების სწავლების საკითხს თუ გადაწყვეტენ დადებითად, მაშინ შესაბამისად უნდა მოამზადონ მასწავლებელი, სკოლა, მშობელი, საბავშვო ბაღი. „ასე აიღო და შეყარო ეს 5 წლის  ბავშვები სკოლაში, არაფერი მოამზადო, რა ეს ნახირია თუ ბავშვები? წინასწარ ხომ უნდა მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება. ჩვენ არ ვართ წინააღმდეგი, 5 წლიანსაც ვასწავლით და 4 წლიანსაც. აითვისებენ ეს ბავშვები არც ეს არ არის პრობლემა. მთავარია როგორი მეთოდით ვასწავლით, როგორ მივუდგებით, სკოლაში რა გარემო დახვდებათ და ასე შემდეგ. მაშინ სკოლას აუცილებლად სჭირდება რბილი ოთახი, სადაც ბავშვი წამოწვება და წელს გაასწორებს, სათამაშო ოთახი, მრგვალი მაგიდა, სადაც მასწავლებლის გარშემო შემოსხდებიან და მცირე რაოდენობის კლასი. ასეთი პირობებში ჩვენ ბავშვებს ვუმახინჯებთ სულს.“

### *ინფრასტრუქტურის პრობლემები:*

რეგიონის მასწავლებლების თქმით, სკოლის ინფრაქტრუქტურა არ აძლევს მათ საშუალებას კლასის მოწყობა მოარგონ 5 წლის ბავშვების  სპეციფიკას. ძველი სკოლებია და კლასები კი არის დიდი ზომის, მაგრამ როდესაც 35 ბავშვი ზის თითოეულ კლასში, იქ აღარ რჩება ადგილი თავისუფალი მოძრაობისათვის, არათუ ხალიჩებისათვის, ბალიშებისათვის და სათამაშო კუთხისათვის. სახელმწიფო სკოლებს და საჯარო სკოლების უმრავლესობას არ აქვს 5 წლის ბავშვების სწავლებისათვის შესაფერისი მერხები: ოთახში უნდა იყოს სათამაშოების კუთხე, უნდა იყოს ხალიჩა და ბალიშები, მათ არ უნდა მოვთხოვოთ 35 წუთი მერხზე ჯდომა. ჩვენ არ გვაქვს ამ ყველაფრის მოდიფიცირებისათვის საჭირო ფინანსური რესურსი. შესაბამისად მოწყობილი გარემო, ხალიჩებით, პატარა მაგიდებით,მრავალფუნქციური ოთახით სადაც იქნება სათამაშო და დასასვენებელი ოთახი.

ერთ–ერთი მასწავლებელი 5 წლის ბავშვების კლასების მოწყობის თავისეულ ხედვას ასე აყალიბებს: აუცილებელია მერხები იყოს მასწავლებელთან მიმართებაში წრეზე ან ოვალზე. ამ შემთხვევაში ყველა ბავშვი „პირველ მერხზე“ ზის და მასწავლებელი ყველა ბავშვს ერთი

წერტილიდან ესაუბრება. საჭიროა გვერდით იყოს დასაფენი, ბალიშები, ბურთი, ჭადრაკი, სხვა სათამაშოები.

5 წლის ბავშვებთან დაკავშირებით მასწავლებლებს პრობლემები ექმნებათ კლასის ორგანიზებასთან დაკავშირებით. როდესაც ბევრი ბავშვია მათ უხდებათ არჩევანის გაკეთება ვინ დასვან პირველ მერხზე. ის ბავშვები, რომლებსაც აქვთ მხედველობის პრობლემა აუცილებლად პირველ მერხზე უნდა იყოს, ასევე პირველ მერხზე უნდა იყოს განსაკუთრებით ცელქი ბავშვი, ასევე 5 წლის ბავშვი და ამ შემთხვევაში აღარ იციან მასწავლებლებმა ვინ სად დასვან.

კერძო სკოლებს ინფრასტრუქტურა, რეჟიმი, ტექნიკა შედარებით უფრო ადაპტირებული აქვს 5 წლიანებთან მიმართებაში. თუმცა იქაც, როგორც კი მიდიან წიგნამდე, კალმამდე და რვეულამდე, 5 წლის მოსწავლეების ჩართულობა მნიშვნელოვნად ეცემა.

### *შრომის ბაზარზე მოზარდის გასვლის ასაკი*

5 წლის ბავშვების სწავლებასთან დაკავშირებით ექსპერტები მიუთითებენ სხვა პრობლემაზეც. საქართველოში სავალდებულო სწავლება არის 9 წელი, 6 წლის ბავშვი სკოლას ამთავრებს 15 წლის ასაკში და ეს ასაკი სახელმწიფოს მიერ აღიარებულია იმ ასაკად, როდესაც მას შეუძლია გავიდეს შრომის ბაზარზე. როდესაც სკოლაში მიღების ასაკმა დაიწია 5 წლამდე, ავტომატურად მოხდა ის, რომ 14 წლის მოზარდს უფლება მიეცა გავიდეს შრომის ბაზარზე. ექსპერტების თქმით, ეს თაობების განვითარებისათვის ძალიან ცუდია. ერთადერთი ქვეყანა, რომელიც 14 წლის მოზარდის მუშაობას უშვებს არის თურქეთი. მსოფლიოში ტენდენციები მიდის იქითკენ, რომ გაზარდონ სავალდებულო სწავლის ხანგრძლივობა და საქართველომ ეს ზღვარი პირიქით დაბლა არ უნდა დასწიოს.

### *სხვა სისტემური პრობლემები*

5 წლის ბავშვების სწავლების სისტემურ პრობლემებში პედაგოგები გამოყოფენ შემდგომ ფაქტორებს, რომელთა ადაპტირებისა და 5 წლის ბავშვების თავისებურებებზე მორგების გარეშე მათი სკოლაში მიღება დაუშვებელია. ეს ფაქტორებია: სკოლის გარემო, სწავლის რეჟიმი, სასწავლო პროგრამები, სახელმძღვანელოები, სავარჯიშოები, რომლებიც არ არის შესაბამისი 5 წლის ბავშვებთან. სახელმძღვანეოლოები ცალკე პრობლემად გამოიყო მასწავლებლების მხრიდან. მათი თქმით სახელმძღვანელოები უნდა იყოს ფერადი, მრავალმხრივი, საინტერესო, დიდი ნახატებით დასურათებული, უნდა იყოს გასაფერადებლები, უნდა იყოს წიგნში სამუშაო.

5 წლის ბავშვების სწავლება მძიმეა ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში, რადგან აქ დგას ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების პრობლემა და 5 წლის ბავშვებში ეს კიდევ უფრო დაამძიმებს სიტუაციას. ინკლუზიურ განათლებასთან მიმართებაში ეს დამატებით სტრესია მასწავლბლისათვის, რადგან მას სამი სხვადასხვა მეთოდით უხდება კლასში მუშაობა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ 5 წლის ბავშვების სწავლებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი სისტემური ბარიერები არსებობს.დაწყებითი კლასების მასწავლებლების უმრავლესობას არ აქვს გავლილი 5 წლის ბავშვების თავისებურებების შესახებ ტრენინგი. თუმცა ის მასწავლებლებიც კი, რომლებსაც ამგვარი მომზადება გაუვლია, ნაკლებ ნებას გამოხატავს 5 წლის  ბავშვებთან თავისებური მიდგომის გამოყენებასთან დაკავშირებით. ეს გამოწვეულია არა მხოლოდ მასწავლებლების დაბალი მოტივაციით, არამედ კლასების ზომებით, შერეული კლასებით და ინფრასტრუქტურული შეზღუდვებით. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემა არ შეხვდა 5 წლის ბავშვების სკოლაში მიღებას მზად, რაც უთუოდ თავს იჩენს შემდგომ ეტაპებზე ამ ბავშვების განვითარებაში.

## მომავალი განვითარების პერსპექტივა.

ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო 5 წლის ბავშვების სკოლაში მიღებასთან დაკავშირებით უამრავი პრობლემის არსებობა. ექსპერტების და მასწავლებლების პოზიციის გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ფორმით 5 წლის ბავშვების სასწავლო პროცესში ჩართვა მიუღებელია. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით წარმოგიდგენთ 5 წლის ბავშვების განათლებასთან დაკავშირებულ ორი ალტერნატივას:

**ა) 5 წლის ბავშვების სასწავლო პროცესში ჩართვის მიღების პრაქტიკა დარჩეს. ამისათვის საჭიროა:**

- **სკოლამდლი აღზრდის სისტემის გამართვა:** ეს გულისხმობს სკოლამდელ აღმზრდელობით დაწესებულელებში ბავშვების სწავლების მეთოდოლოგიის გამართვა, და სასწავლო გეგმის ყველა ბაღისათვის სავალდებულოობა. გარდა ამისა, უნდა მოხდეს საბავშვო ბაღებში დასაქმებული პერსონალის მნიშვნელოვანი გადამზადება და ბაღების აკრედიტაცია (განსაკუთრებით კი კერძო ბაღების) უნდა გახდეს სავალდებულო.

- **ბავშვების სკოლისათვის მზაობის შემოწმების სისტემის შექმნა:** ეს სისტემა უნდა განვითარდეს სკოლის ან სკოლამდელი აღზრდის ეტაპზე. იმის მიხედვით, თუ რომელ ეტაპზე მოხდება ბავშვის სკოლისათვის მზაობის შემოწმება, უნდა მოხდეს იმ რგოლის პედაგოგების მომზადება და ამ პროცესში ფსიქოლოგის ჩართვა;

- **დაწყებითი სკოლის პედაგოგების ინტენსიური გადამზადება:** მასწავლებლები უნდა გაეცნონ 5 წლის ბავშვების თავისებურებებს. მათ უნდა აითვისონ 5 წლის მოსწავლეთათვის რელევანტური მიდგომებისა და სწავლის მეთოდები;

- **5 წლის ბავშვების საკლასო ოთახების ინფრასტრუქტურის გამართვა:** რაც გულისხმობს ბავშვებისათვის მეტი სივრცის გამოთავისუფლებას, მათ ფიზიოლოგიურ თავისებურებებზე მერხების ფორმის მორგებას და მრავალფუნქციური საკლასო ოთახის მოწყობას.

- **შემცირდეს კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა:** რადგან 5 წლის ბავშვებთან მუშაობა ინდივიდუალურ მიდგომას მოითხოვს, შეუძლებელია დღევანდელი კლასების ზომის გათვალისწინებით ამის განხორციელება. ამიტომ აუცილებელია კლასების ზომის დაყვანა მინიმუმ 25 ბავშვამდე.

- **გამოიყოს 5 და 6 წლის მოსწავლეთა ჯგუფები:** ამ საკითხთან დაკავშირებით არ არის ერთიანი პოზიცია. მასწავლებლები უფრო მეტად უჭერენ მხარს 5 წლის ბავშვებისათვის ცალკე კლასების გახსნის თაობაზე, თუმცა ამ პოზიციას არ იზიარებენ ექსპერტები და თვლიან, რომ ჯგუფები უნდა იყოს შერეული.

- **საჭიროა გადაიხედოს სავალდებული სწავლის ხანგრძლივობა;**

- **საჭიროა მშობლების ინფორმირება 5 წლის ბავშვების თავისებურებების შესახებ და მათი სკოლისათვის მზაობის შესახებ.**

**ბ) მეორე და უფრო რეალისტური ალტერნატივა არის ის, რომ ამ ეტაპზე შეჩერდეს 5 წლის ბავშვების მიღების პრაქტიკა და დაიწყოს ამ პროცესისათვის მზადება.**

ექსპერტების აზრით, სახელმწიფომ 5 წლის ბავშვების სწავლების არასავალდებულო ფორმის შემოღებით პასუხისმგებლობა მოიხსნა და არაკომპეტენტურ მშობელს გადააბრალა, რაც ყოვლად დაუშვებელია. ამიტომ, თუ სახელმწიფოს აქვს გარკვეული წარმოდგენა იმის შესახებ თუ რატომ სჭირდება 5 წლის ბავშვების სასწავლო პროცესში ჩართვა, მან ეს უნდა დაასაბუთოს. ამის შემდგომ კი უნდა დაიწყოს 5 წლის ბავშვის სასწავლო პროცესში ჩართვისათვის ეტაპობრივი მუშაობა. სახელმწიფომ უნდა მოახდინოს ზემოთ მითითებული მიმართულებით სამუშაოების ჩატარება. 5 წლიანი განათლების დანერგვა მოხდეს მაშინ, როდესაც წინა მოსამზადებელი სამუშაოები დასრულდება.